გარემოსდაცვითი დანაშაული და სასჯელი

როგორ შევქმნათ ეფექტიანი სახელმწიფო გარემოსდაცვითი ინსპექცია

ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება

პრაღა 2023

ARNIKA

TRANSITION
Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

გარემოსდაცვითი დანაშაული და სასჯელი
როგორ შევქმნათ ეფექტიანი სახელმწიფო გარემოსდაცვითი ინსპექცია – ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება

პრაღა 2023

მთავარი ავტორი და რედაქტორი: მონიკა ვან დენ ბერგი
თანაავტორები: მარცელა ჩერნოჩოვა, მარტინ სკალსკი, იან პლესნიკი, ვლასტიმილ კარლიკი, პაველ პინკავა, ზუზანა ვახუნოვა
პუბლიკაციის მომზადებაში წვლილი შეიტანეს: ტომაშ იუნგვირთი, იანა მორავცოვა
გრაფიკული დიზაინი: იაკუბ ნემეჩეკი, www.typonaut.cz
ინგლისური კორექტირება: სტეფენ ფიშერი
ქართული თარგმანი: თინათინ მაღედანი
ეს პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ, ბოსნიურ, ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე

ნაშრომი ხელმისაწვდომია ლიცენზიით - Creative Commons Attribution-Non-Commercial-ShareAlike 3.0 IGO licence (CC BY-NC-SA 3.0 IGO;https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/igo). ლიცენზიის პირობების მიხედვით, დაშვებულია არაკომერციული მიზნებით ნაშრომის კოპირება, გავრცელება და ადაპტირება შესაბამისი ციტირებისა და მონაცემთა წყაროების მითითებით.

ISBN 978-80-88508-31-1

აბრევიატურების ჩამონათვალი

აბრევიატურა	**განმარტება**
BAT	Best Available Techniques – საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა
CEI	Czech Environmental Inspectorate – ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექცია
CITES	Convention on International Trade in Endangered Species – გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია
CLP	Classification, Labelling, Packaging – კლასიფიკაცია, ეტიკეტირება, შეფუთვა
CWMI	Czech Water Management Inspectorate – ჩეხეთის წყლის მართვის ინსპექცია
CZK	Czech Crown – ჩეხური კრონა
EIA	Environmental Impact Assessment – გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ECHA	European Chemicals Agency – ევროპის ქიმიური ნივთიერებების სააგენტო
EnviHELP	Environmental help desk – გარემოსდაცვითი დახმარების სამსახური
EMAS	Eco-Management and Audit Scheme – ეკო-მენეჯმენტისა და აუდიტის სქემა
EMS	Eco Management Scheme – ეკო მენეჯმენტის სქემა
EU	European Union – ევროკავშირი
GDP	Gross Domestic Product – მთლიანი შიდა პროდუქტი
IMPEL	Implementation and Enforcement of Environmental Law – გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელება და აღსრულება
INECE	International Network of Environmental Compliance and Enforcement – გარემოსდაცვითი შესაბამისობისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელი
IPPC	Integrated Pollution Prevention and Control – ინტეგრირებული დაბინძურების პრევენცია და კონტროლი
IPR	Integrated Pollution Register – ინტეგრირებული დაბინძურების რეესტრი
ME CR	Ministry of Environment of the Czech Republic – ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო
NGO	Non-governmental Organisation – არასამთავრობო ორგანიზაცია
RI	Regional Inspectorate – რეგიონული ინსპექცია
REACH	Registration, Evaluation, Authorisation and Restriction of Chemicals – ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია, შეფასება, ავტორიზაცია და შეზღუდვა

წინასიტყვაობა
“რატომ?” – ამ კითხვის დასმა მნიშვნელოვანია

ჩვენ პირველი თაობა ვართ, რომელსაც აქვს ინსტრუმენტები იმის დასანახად, თუ როგორ იცვლება დედამიწის სისტემა ადამიანის საქმიანობით. ამავდროულად, ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ ცვლილებების დიდი ნაწილის მიმართულებაზე.

პიტერ მ. ვიტუსეკი

მკითხველს ბოდიშს ვუხდი, რომ ტექსტის დასაწყისშივე შეგნებულად ვიყენებ ბანალურ სიტყვებს.

მოგწონთ ეს თუ არა, ადამიანური საქმიანობის თითოეული სფერო ქმნის საკუთარ ლექსიკას. არა მხოლოდ გარემოს დაცვის შემთხვევაში, ზოგადად, როდესაც ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ “ამერიკის ხელახლა აღმოჩენა”, ხშირად ვსაუბრობთ მიღებულ გაკვეთილებზე ან საუკეთესო პრაქტიკაზე.

პუბლიკაცია, რომლის კითხვაც დაიწყეთ, აჯამებს ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის (CEI) წარსულ, აწმყო და შესაძლო სამომავლო განვითარებას. CEI არის ზედამხედველობის, მონიტორინგისა და აღსრულების სამთავრობო ორგანო გარემოს დაცვის სექტორში ჩეხეთის რესპუბლიკაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ასეთი ორგანოს სხვა მოდელებიც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ან გაერთიანებულ სამეფოში, ეს პუბლიკაცია ნათლად და იმედია, მკითხველისთვის გასაგებად აჩვენებს, თუ როგორ დაარსდა ეს ორგანო პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, ანუ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკაც ცენტრალური დაგეგმვიდან თავისუფალ ბაზარზე გარდამავალ პერიოდში იყო. დასაფასებელია აშკარა ძალისხმევა ავტორებისა, რომლებიც გვიჩვენებენ არა მხოლოდ უდიდეს წარმატებებს, არამედ ყოველდღიურ წარუმატებლობებსაც. ეს იმიტომ, რომ ისინი არ მალავენ სერიოზულ გამოწვევებს და ცდილობენ გონივრული პასუხი გასცენ ერთ მარტივ, მაგრამ სრულიად ლეგიტიმურ კითხვას – „რატომ?“. ზემოხსენებულ ლექსიკას გამოვიყენებ და ვიტყვი, რომ პუბლიკაციის თემა მართლაც ჰოლისტურად არის დამუშავებული.

ნება მომეცით, პირადი მოსაზრება გამოვხატო. აქტიური და სამართლიანი გარემოსდაცვითი ინსპექციის თანამშრომლად ყოფნა, ამ სამუშაოს არსის გამო, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მოითხოვს სიმამაცესა და ფსიქიკურ გამძლეობას. ინსპექციას ბევრი ადამიანი ხშირად აღიქვამს, როგორც მკაცრ რეპრესიულ ორგანოს, რომელიც, ძირითადად, დაკავშირებულია კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებასთან. ამიტომ, შეუცვლელი აღმასრულებელი ორგანოს გარდა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ და მკაფიოდ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის (სულ მცირე, სამართლიან ქვეყნებში), გარემოს დაცვის სექტორს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა დაფინანსების პროგრამა/სუბსიდირების სქემები, რომლებიც წაახალისებს გარემოსადმი მეგობრულ მიდგომებს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შორის. რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია კომუნიკაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება ფართო საზოგადოებასა და სამიზნე ჯგუფებში.

რადგან ნიჭიერი პოეტი და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დრამატურგი უილიამ შექსპირი ამბობს, რომ სიტყვაძუნწი ადამიანები საუკეთესო ადამიანები არიან, აქ შევჩერდები და უბრალოდ გისურვებთ: ისიამოვნეთ კითხვით!

იან პლესნიკი
ჩეხეთის რესპუბლიკის ბუნების დაცვის სააგენტო, პრაღა

სარჩევი

I. ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის სისტემა 7

II. ჩვენ ვერ გავემიჯნებით ისტორიას, მაგრამ შეგვიძლია მისგან ვისწავლოთ 8

III. მიღწეულ იქნა პოლიტიკური სისტემის ცვლილება – რა იყო პირველი ნაბიჯები? 13

IV. ნიადაგის მომზადება და მარცვლის გაზრდა – ახალი მოწყობისთვის საფუძვლის ჩაყრა 16

V. ქმედითი გარემოსდაცვითი ინსპექციის ჩამოყალიბება 19

VI. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის საქმიანობა 24

VII. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის ამოცანები 28

VIII. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის სტრუქტურა 31

IX. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის წლიური ბიუჯეტის მაგალითი 36

X. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის არასავალდებულო საქმიანობა 37

XI. რჩევები: როგორ ავაშენოთ ქმედითი ინსპექცია 39

XII. პრაქტიკული მაგალითები 41

ინსპექციის შექმნის საკვანძო ეტაპები 48

ბიბლიოგრაფია და მონაცემთა წყაროები 49

დამატებითი საკითხავი 56

შესავალი

რამდენიმე შენიშვნა მკითხველისთვის

ეს ბროშურა აღწერს ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ არჩეულ მიდგომას გარემოსდაცვითი ინსპექციის ჩამოყალიბებაში. ჩეხეთის რესპუბლიკამ ერთ-ერთი შესაძლო გზა აირჩია, თუმცა არ ვამბობთ, რომ ეს ერთადერთი გზაა. ჩვენ მოხარულები ვართ, წარმოგიდგინოთ ეს ბროშურა, როგორც შთაგონებისა და მხარდაჭერის წყარო თქვენი ინსპექციის ჩამოყალიბების პროცესში.

ბროშურაში შესულია მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რომელიც, ჩვენი აზრით, შესაძლოა გამოძახილს პოვებდეს სხვა ქვეყნებშიც. ჩვენ ასევე გვსურდა გვეჩვენებინა, რა იყო ჩვენი რეალობის საფუძველი და პირობები, რამაც ჩვენთვის ეს გზა განსაზღვრა. ინსპექციის ჩამოყალიბების მეთოდოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიულ კონტექსტთან, რომელიც ამავდროულად პროცესის ფუნდამენტს წარმოადგენს. 1989 წლის შემდგომ პერიოდში ჩვენ განვავითარეთ მანამდე უკვე არსებული საინსპექციო სისტემის გარკვეული ნაწილი. თუმცა, განსხვავებული მიდგომა იქნება საჭირო იქ, სადაც არ არსებობს წინა გამოცდილება, რომელსაც დაეყრდნობი და ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები.

ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის ჩამოყალიბების პრაქტიკული აღწერით, მისი საქმიანობის არსისა და შინაარსის წარმოდგენით და კონკრეტული მაგალითების მოყვანით, ჩვენ გთავაზობთ რჩევებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოთ. ეს არაა ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელო, არამედ ჩვენი გამოცდილების ანარეკლი, რომელიც მოიცავს როგორც გამოწვევებს, ისე მიღწევებს. ჩვენი მიზანია, ეს ინფორმაცია დაეხმაროს მათ, ვინც ახლა არის მსგავს პროცესში ჩართული, რათა მათ უფრო მარტივად გაართვან თავი სირთულეებს. უკვე მკითხველზეა დამოკიდებული, რას გამოიყენებს პრაქტიკაში.

ნებისმიერი გარემოსდაცვითი ინსპექცია სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის ფარგლებში ფუნქციონირებს. სხვადასხვა პოლიტიკური ნაკადები ერევა და გავლენას ახდენს გარემოსდაცვითი ინსპექციის საქმიანობაზე, რადგან ის პოლიტიკური სცენის ნაწილია. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ეს ბუნებრივი პროცესია. ამასთან, გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკური და სხვა ინტერესები ერევიან დამოუკიდებელი ორგანოს საქმიანობაში, შესაძლოა მისი რეპუტაცია დაზიანდეს. ჩვენი მიზანი არ არის ვინმეს განსჯა, არამედ გვინდა ვაჩვენოთ, რომ შეცდომებიდან სწავლა შესაძლებელია და სწორედ სწავლის პროცესით ვვითარდებით.

ავტორები

I. ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის სისტემა

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბროშურის მთავარი თემა ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციაა (CEI), რადგან ის სახელმწიფო მმართველობის მთლიანი სისტემის ნაწილია, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ეს სისტემა.

ჩეხეთის რესპუბლიკა არის საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც უმაღლესი ხელისუფლებაა მთავრობა. სახელმწიფოს ფორმალური მეთაური არის პრეზიდენტი, რომელსაც, კონსტიტუციის თანახმად, შეზღუდული აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს, ხოლო მთავრობის მეთაური არის პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფო მმართველობა სამ ძირითად შტოდ იყოფა: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტი საკანონმდებლო ძალაუფლებას ახორციელებს დეპუტატთა პალატის (ქვედა პალატა) და სენატის (ზედა პალატა) მეშვეობით.

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებაა მთავრობა, თავისი წევრებით – მინისტრებით. ქვედა აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო ადმინისტრაცია, რეგიონები, რაიონები და მუნიციპალიტეტები შეადგენენ. ჩეხეთში თოთხმეტი რეგიონია, რომლებიც თვითმმართველი ერთეულებია და აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები რეგიონების მართვაში. ადგილობრივ დონეზე კი არსებობს მუნიციპალიტეტები (6254) და თვითმმართველი ქალაქები (13). როგორც რეგიონული მმართველები (გუბერნატორები), ასევე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები (მერები) არჩეული პირები არიან.

აღმასრულებელი ხელისუფლება, სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, უზრუნველყოფს ეროვნული კანონების დაცვას. სწორედ აქ თამაშობს CEI მთავარ როლს გარემოს დაცვის სფეროში, რადგან მას აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს. CEI არის ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს (ME CR) საზედამხედველო და აღმასრულებელი ორგანო.

ევროკავშირის ორგანოებსა და ინსტიტუტებს არ აქვთ პირდაპირი ძალაუფლება ჩეხეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაზე.

სახელმწიფო მმართველობის სასამართლო შტო შედგება ოთხი კატეგორიის დამოუკიდებელი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოსგან. რადგან ჩეხეთის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრია, ის ექვემდებარება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

II. ჩვენ ვერ გავემიჯნებით ისტორიას, მაგრამ შეგვიძლია მისგან ვისწავლოთ

1989 წლის "ხავერდოვანი რევოლუციის" წინა წლებში სახელმწიფო არ ახორციელებდა გარემოს დაცვის სისტემურ და მიზანმიმართულ პოლიტიკას, რადგან პრიორიტეტს ეკონომიკური განვითარება, კერძოდ, მძიმე მრეწველობა და ქვანახშირის მოპოვება წარმოადგენდა. გარემოსთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები, რომლებიც მძიმე მრეწველობას თან სდევდა, ან უარყოფილი იყო, ან განზრახ რჩებოდა ყურადღების მიღმა.

მეორე მსოფლიო ომსა და 1989 წლის "ხავერდოვან რევოლუციას" შორის პერიოდში, მთავრობის მხოლოდ რამდენიმე წევრი იჩენდა ინტერესს ნიადაგის, ტყეების, ჰაერისა თუ წყლის დაბინძურების რეალური მდგომარეობის მიმართ. [1] [2]

"ძველი კარგი დრო" სოციალისტურ ქვეყანაში

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას 1989 წლამდე მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ოფიციალური დოქტრინა აცხადებდა: "...გარემოს განადგურება ხდება მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებასა და სამხედრო მრეწველობაზე მონოპოლიის გამო". [3]

მრეწველობა, კერძოდ მძიმე ინდუსტრია, ქვანახშირის მოპოვება, ქიმიური წარმოება და გადამუშავება საზოგადოების მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა 60-იან და შემდგომ წლებში. მაშინაც კი, როდესაც 70-იან წლებში მოსახლეობაში სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები გამოვლინდა, რესურსების ნაკლებობა არ იძლეოდა გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ზომების მიღების საშუალებას.

კომუნისტურ ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გარემოდაცვითი პრობლემა იყო ქვანახშირის მოპოვება და ქვანახშირის ელექტროსადგურების ემისიები. ფოტო: იან ლოსენიცკი

დამატებითი პრობლემა იყო სახელმწიფო მმართველობის სრული უუნარობა, პრაქტიკაში გადაეტანა იდენტიფიცირებული გადაწყვეტის გზები.

> "გარემო მგრძნობიარე საკითხი იყო რეჟიმისთვის. მრეწველობა და ინდუსტრიული ტექნოლოგიები უმეტესად მოძველებული იყო და საწვავის უზარმაზარ რაოდენობას საჭიროებდა. ქვანახშირის მოპოვება, ტრანსპორტირება და შემდგომი მოხმარება ტვირთად აწვებოდა გარემოს," – აღწერს ისტორიკოსი ლიბორ სვობოდა ტოტალიტარული რეჟიმების შესწავლის ინსტიტუტიდან [4]

“ანონიმური საზოგადოება” არის პასუხისმგებელი.

90-იან წლებში ყოფილი "აღმოსავლეთის ბლოკის" დაშლამდე, წევრი ქვეყნების ეკონომიკები სახელმწიფო საკუთრებაში იყო. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მრეწველობის ნაციონალიზაცია (ექსპროპრიაცია) 1948 წელს მოხდა.

ეკონომიკა ცენტრალიზებულად იგეგმებოდა, არ არსებობდა კერძო საკუთრება, მთელი მრეწველობა, წარმოება და ეკონომიკის ყველა სხვა სექტორი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო (ე.წ. სახელმწიფო მონოპოლია). შესაბამისად, სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო ყველაფერზე, სირთულეების ჩათვლით, მაგრამ ლიდერები არ იყვნენ დაინტერესებულნი იმის აღიარებით, რომ ლიდერობის მონოპოლია ასევე გულისხმობს პასუხისმგებლობის მონოპოლიასაც. [5]

და ამგვარად, უმისამართო, "ანონიმური საზოგადოება" – მთელი საზოგადოება – გამოცხადდა გარემოს განადგურებაზე პასუხისმგებელ მხარედ და გარემოსთან დაკავშირებული ყველა პრობლემის წყაროდ. ორი სიტყვა – “მთელი საზოგადოება” და საკითხი გადაჭრილი იყო.

მიუხედავად ამისა, 70-იანი წლებიდან არსებობდა გარემოს მონიტორინგის სისტემა, რომელიც ძირითადად ჰაერისა და წყლის დაბინძურების შესახებ მონაცემებს აგროვებდა და ინახავდა. თუმცა, არ არსებობდა მონაცემთა შეგროვების ინტეგრირებული, ერთიანი სისტემა (ეს მოგვიანებით შეიქმნა). შეგროვებული ინფორმაცია რჩებოდა ინსტიტუტების "კედლებს შიგნით". ეს იყო "მონიტორინგი-მონიტორინგისთვის" ყოველგვარი შეფასების, გარემოზე ზიანის შემცირების სტრატეგიის შექმნისა და განხორციელების გარეშე. [6]

სწორედ მეცნიერებმა იცოდნენ გარემოს რეალური მდგომარეობა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ უფლება გაეზიარებინათ რაიმე მონაცემები საზოგადოებისთვის, მმართველი პარტიისა ან ნებისმიერი სხვა ხელმძღვანელი პირებისთვის. მთავრობას მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია ჰქონდა, რადგან გარემოს ჭეშმარიტი მდგომარეობა არ შეიძლებოდა გამოქვეყნებულიყო. [7] [8]

ინფორმაცია გარემოს შესახებ დამალული იყო, მიუხედავად სიტუაციის სერიოზულობისა. ნებისმიერი განცხადება გარემოს წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ განიხილებოდა როგორც სახელმწიფოსა და მმართველი კომუნისტური პარტიისთვის პოტენციური საფრთხე. [10]

ეს რამდენიმე რიცხვი ნათლად წარმოაჩენს სიტუაციის სიმწვავეს.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა



მურა (ყავისფერი) ნახშირი

- **1,2 მილიონი ტონა გოგირდის დიოქსიდი გაფრქვეული ჰაერში წელიწადში 1980-იან წლებში [11]**
- **60 – 100 კგ გოგირდის დიოქსიდი წელიწადში ჰექტარზე 1980-იან წლებში**
- **მშპ-ის 0,3% 1976 – 1980 წლებში გარემოს დაცვისთვის [12] [13]**

“ამ საზოგადოებაში ჩვენ არ ვიყავით მიჩვეულები გარემოს მასიური განადგურების და ბუნებრივი რესურსების ამოწურვის შესახებ ფიქრს, რადგან 60-იან წლებში ეს იყო ადგილობრივი განადგურება, კერძოდ ჩრდილოეთ ბოჰემიაში და არა მასიური...”- ამბობს ივან დეიმალი, ჩეხეთის რესპუბლიკის ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრი ინტერვიუში [14]

ერთი მხრივ, არსებობდა ინფორმაცია გარემოს რეალური მდგომარეობის შესახებ და მეორე მხრივ, არ იღებდნენ არანაირ ზომას სიტუაციის გამოსასწორებლად. კერძოდ, შემდეგი მიზეზების გამო:

- ფინანსების სიმწირე სახელმწიფო დაგეგმარებისა და გლობალურ ბაზარზე ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ნაკლებობის გამო.
- გარემოს მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაცია სოციალისტური იდეოლოგიისთვის საფრთხედ მიიჩნეოდა.
- მთავარი კომუნისტური დოქტრინის მიხედვით, გარემოს დაბინძურება მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდებოდა.

იმედის ნაპერწკალი

სოციალისტურ ქვეყანაში გარემო შეიცვალა საბჭოთა კავშირის “პერესტროიკის” ეკონომიკური რეფორმის პერიოდში.

ამის გავლენით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა (ლუბომირ შტრუგალი) გარემოსდაცვითი ექსპერტიზა მოითხოვა. ის იყო ერთ-ერთი პოლიტიკოსი, რომელიც დაინტერესებული იყო გარემოსდაცვითი საკითხებით, ამიტომ მან მიმართა გარემოსდაცვით იურისტს ვაცლავ მეზრიცკის, რათა შეექმნა გუნდი და ჩეხოსლოვაკიაში გარემოს მდგომარეობის დეტალური ანალიზი შეემუშავებინა. მეცნიერებათა აკადემიის 10 საუკეთესო ექსპერტისგან შემდგარმა გუნდმა დაწერა დეტალური ანგარიში გარემოს მდგომარეობის შესახებ, სახელწოდებით “ჩეხოსლოვაკიაში ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი” (Rozbor ekologické situace v Československu). [15]

ქვანახშირის მოპოვება ბევრ გიგანტური თხრილის გორების გაჩენასთანაა დაკავშირებული. ფოტოზე ასახული თხრილის გორის გამო განადგურდა ხუთი სოფელი და სამი პატარა დაცული ტერიტორია.

ფოტო: ინდრიხ პეტრლიკი

"ჩვენ შევქმენით ექსპერტთა ჯგუფი და მოვამზადეთ დეტალური ანგარიში ჩეხოსლოვაკიაში გარემოს მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ტექსტის ერთი ასლი გადაეცა ქარტია 77-ს და ამ იატაკქვეშა ორგანიზაციის მეშვეობით, ტექსტი მოხვდა “რადიო თავისუფლება ევროპაში” და გადაიცა ეთერში. მთელმა ევროპამ გაიგო ჩვენი რესპუბლიკის გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ", ამბობს ბედრჟიხ მოლდანი, ჩეხი გარემოს მეცნიერი, ჟურნალისტი და შემდგომში გარემოს დაცვის მინისტრი ჩეხეთის ტელევიზიის ვიდეოჩანაწერში.

ქარტია 77, იატაკქვეშა არაფორმალური ინიციატივა, რომელიც ადამიანის უფლებების პატივისცემას ითხოვდა, აერთიანებდა ადამიანებს, რომლებსაც პუბლიკაციის გამოქვეყნების უფლება არ ჰქონდათ და ახალგაზრდებს, რომლებიც გარემოთი იყვნენ დაინტერესებულნი. 70-იან წლებში, განსაკუთრებით ახალგაზრდები იყვნენ დაინტერესებულნი გარემოსდაცვითი საკითხებით და ქარტია 77-მა ეს შესაძლებლობა ახალგაზრდების თავის რიგებში მოსაზიდად გამოიყენა. გარემოსთან დაკავშირებული კითხვები ოფიციალური მთავრობის მიერ აღიქმებოდა როგორც დასავლეთის იარაღი რესპუბლიკის დასაშლელად. [16] სწორედ ამიტომ, გარემოსდაცვითი აქტივობები იატაკქვეშა მოძრაობის ნაწილი გახდა.

“ჩეხოსლოვაკიაში ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზის” საფუძველზე, მთავრობამ 1983 წელს შექმნა “გარემოს დაცვისა და ჩეხოსლოვაკიის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო კონცეფცია 2000 წლამდე”. თუმცა, დოკუმენტი პრაქტიკაში არასდროს განხორციელებულა. მართალია, მთავრობამ აღიარა, რომ გარემო სერიოზული პრობლემა იყო, მაგრამ ანგარიშში შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელება ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ ჩეხოსლოვაკიას გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევები ჰქონდა. [17] [18] მიუხედავად ამისა, დოკუმენტი „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ საფუძვლად დაედო გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მართვის სფეროში არსებით რეფორმებს.

"ხავერდოვანი რევოლუცია" და ცვლილებები საზოგადოებაში

პირველი საპროტესტო გამოსვლები (პრაღაში ყოფილი კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ პოლიტიკური პროტესტების დაწყებამდე), გაიმართა ტეპლიცეში (ქალაქი ჩრდილოეთ ბოჰემიაში) და მიზეზი იყო გარემოს კატასტროფული მდგომარეობა, კერძოდ ჰაერის დაბინძურება ამ რეგიონში. ლოზუნგები და მოთხოვნები იყო:

გვინდა სუფთა ჰაერი;
გვინდა სუფთა გარემო.

ხავერდოვანი რევოლუცია იყო პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი, დატვირთული დემონსტრაციებით, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლა მოჰყვა. ეს ფოტო ერთ-ერთი ყველაზე დიდი დემონსტრაციიდანაა. ბანერზე ვკითხულობთ: "სამოქალაქო ფორუმი ციხესიმაგრისკენ." არქივი, ჩტკ

პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მოთხოვნები მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩნდა. საზოგადოებისთვის გარემოს მდგომარეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა იყო. კერძოდ, ახალგაზრდა თაობა გარემოსდაცვითი საკითხებით უკვე 70-იან წლებში იყო დაინტერესებული.

„ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ, 1990-1991 წლებში, ახალი საზოგადოების შექმნის მთავარ ლიდერად ჩამოყალიბდა სამოქალაქო ფორუმი (Občanské fórum), რომელიც მოგვიანებით სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიად გაიყო. მასში ორი ძირითადი მიმართულება არსებობდა: ჰუმანისტურ-იდეალისტური ფრთა და პრაგმატული ეკონომისტები, რომლებიც ლიბერალურ ბაზარს უჭერდნენ მხარს. ამ ორ ბანაკს სხვადასხვა შეხედულება ჰქონდა მომავალი განვითარების კურსთან დაკავშირებით და ამ ხედვის შესაბამისად იბრძოდნენ.

ცვლილებების პირველ ორ წელში, გარემოსდაცვით პოლიტიკურ სფეროში ის ადამიანები შევიდნენ, ვისაც ნამდვილად და გულწრფელად

ჰქონდა ამ საკითხის მიმართ ინტერესი. ესენი იყვნენ ექსპერტები, რომლებიც სერიოზულად იყვნენ მოტივირებულნი შეეცვალათ არსებული მდგომარეობა. იმდროინდელ პარლამენტში მრავალი გონიერი და განათლებული ადამიანი იყო, რომლებიც უფრო მეტად გარემოს დაცვას ემსახურებოდნენ, ვიდრე პირად ან ბიზნეს ინტერესებს. [19]

შესაბამისად, მიღებულ იქნა მრავალი ახალი კანონი, კანონქვემდებარე აქტი და დადგენილება. კანონმდებლობა იმ დროის სტანდარტებით ძალიან პროგრესული იყო. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის კუთხით მოქალაქეთა უფლებები ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ფართო იყო. 70-იანი წლებიდან, საზოგადოების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ინტერესი მონაწილეობის მიმართ არ შემცირებულა და საზოგადოებაში ღრმად იყო გამჯდარი. 1989 წლის რევოლუციის შემდეგ, არსებობდა საფუძველი, რომელზეც შეიძლებოდა შენება, რადგან მხოლოდ კანონების შეცვლა საკმარისი არ იყო— აუცილებელი იყო საზოგადოების ინტერესი და აქტიური მონაწილეობა.

“ასოციაციის აქტის” საფუძველზე, გაჩნდა სამოქალაქო ინიციატივები, რომლებიც ადგილობრივი გარემოსდაცვითი საკითხების ფართო სპექტრს ეხებოდა.

"გარემოსთან დაკავშირებული თითქმის ყველა სამართლებრივი დოკუმენტი 1991-1992 წლებში შეიქმნა. ეს არის კანონმდებლობა, რომელიც კარგია და რომელსაც გარემოს დაცვა დღემდე ეფუძნება," ამბობს ირჟი კულიხი, გარემოსდაცვითი განათლების პედაგოგი ჩეხური ტელევიზიის დოკუმენტურ ფილმში. [20]

"მე მჯერა, რომ გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები უნდა გადაიჭრას ერთმანეთის მხარდამხარ. იდეა, რომ ჯერ ეკონომიკა უნდა მოვაწესრიგოთ და შემდეგ მივხედოთ გარემოს, აბსურდულია. და არაეთიკური და არარეალისტური," ამბობს იოზეფ ვავრუშეკი, გარემოსდამცველი და ჩეხოსლოვაკიის ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრი ჩეხეთის ტელევიზიის დოკუმენტურ ფილმში. [21]

იოზეფ ვავრუშეკი დროს უსწრებდა – მისი იდეა იყო მთელი ევროპის მასშტაბით გარემოს დაცვის კოორდინაცია. ეს იყო პირველი მცდელობა ევროპის ისტორიაში, რომ გარემოს დაცვის საკითხებზე ევროპული თანამშრომლობა შემდგარიყო. 1991 წელს მან წამოიწყო პირველი პანევროპული შეხვედრა – მოიწვია გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი ყველა სამინისტრო, ბანკირები, ყველა ევროპული ქვეყნის ინსტიტუტის ლიდერი კონფერენციაზე დობრისში (ქალაქი ცენტრალურ ბოჰემიაში). შეხვედრის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკების კოორდინაცია.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთავარი საკოორდინაციო უწყება – გარემოს დაცვის სამინისტრო – ცვლილებების პირველ წლებში არ არსებობდა. მაგალითად, ბუნების დაცვა კულტურის სამინისტროს ექვემდებარებოდა, ხოლო ჰაერის დაცვა – სატყეო და წყლის რესურსების სამინისტროს.

ამგვარად, მეცნიერ ბედრიხ მოლდანსა და იურისტ ვაცლავ მეზრიცკის, რომლებიც გარემოსდაცვითი მოძრაობის მნიშვნელოვანი ლიდერები იყვნენ, სთხოვეს ახალი უწყების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობდა სამინისტროს შექმნას ნულიდან.

იმავე წელს (1991) ჩამოყალიბდა ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექცია, რომელმაც წყლის მართვისა და ჰაერის დაბინძურების კონტროლის ფუნქციები გადაიბარა და ამგვარად, ნარჩენების მართვის, ტყის დაცვის, წყლის მართვის და ჰაერის დაბინძურების სფეროები მოიცვა. ინსპექციამ მემკვიდრეობით მიიღო რთული ამოცანა – შეექმნა სრულფასოვანი და ქმედითი მექანიზმი.

III. მიღწეულ იქნა პოლიტიკური სისტემის ცვლილება – რა იყო პირველი ნაბიჯები?

ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლად დამკვიდრებულ დემოკრატიას გარემოს ფართომასშტაბიანი დაბინძურების საკითხთან მოუწია გამკლავება.

ცვლილებამდე პერიოდიდან არსებობდა "გარემოს დაცვისა და ჩეხოსლოვაკიის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო კონცეფცია 2000 წლამდე". დოკუმენტი შემუშავებული იყო წინა (კომუნისტური) მთავრობის მიერ, გარემოს დეტალური და ექსპერტული ანალიზის საფუძველზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დოკუმენტი გარემოს სფეროში საუკეთესო ექსპერტთა გუნდის მიერ იყო მომზადებული და მიუხედავად იმისა, რომ წინა ეპოქაში იყო შექმნილი, წარმოადგენდა ძალიან მყარ და პროგრესულ საფუძველს მომავალი პოლიტიკისთვის.

ძველი გარემოსდაცვითი ტვირთი ხშირად მოიცავს მიტოვებულ სამრეწველო ადგილებს. ფოტო: ინდრიხ პეტრლიკი

ორი მთავარი ამოცანა და, ამავდროულად, ორი წარმატებული ისტორია

ძველი გარემოსდაცვითი ტვირთი

სიტუაცია არ იყო მარტივი, და "მემკვიდრეობით მიღებული" პრობლემები საკმაოდ სერიოზული იყო. 1990-იან წლებში ორი მნიშვნელოვანი გარემოსთან დაკავშირებული პრობლემა გამოიკვეთა: ძველი გარემოსდაცვითი ტვირთი და ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების დესულფურიზაცია.

ძველი გარემოსდაცვითი ტვირთი გულისხმობს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების მძიმე დაბინძურებას, ასევე მიწისქვეშა ქანების გარემოს დაბინძურებას. ეს გამოწვეული იყო წარსულში სახიფათო ნივთიერებების (პესტიციდები, ქლორირებული და არომატული ნახშირწყალბადები, მძიმე მეტალები) არასათანადო მართვით. აღმოჩენილი დაბინძურება ძველ გარემოსდაცვით ტვირთად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, თუ დაბინძურების წყარო აღარ არსებობს ან უცნობია.

სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა ძველ გარემოსდაცვით ტვირთზე, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას დაბინძურებული მიწისქვეშა წყლების, ნიადაგისა და დაბინძურებული ჰაერის გზით.

ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო (ME CR) გახდა მთავარი სახელმწიფო უწყება გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოსაფხვრელად, ხოლო ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექცია (CEI) პასუხისმგებელი იყო შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლზე. 1993 წელს CEI-ს დაევალა ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის აღმოფხვრისთვის საჭირო გამოსასწორებელი ზომების განსაზღვრა.



ხავერდოვან რევოლუციამდე პერიოდში არსებულ პოლიტიკურ სისტემას სრულად ჰქონდა უგულებელყოფილი გარემოზე მრეწველობის ზემოქმედების საკითხი. ამიტომაც იყო ძველი გარემოსდაცვითი ტვირთი 1990იანი წლების ერთ-ერთი უმთავრესი გარემოსდაცვითი პრობლემა.

ფოტო: პეტრ ბერგერი, ჩტკ

შემოწმების გარდა, CEI-ს ამოცანა იყო გამოსასწორებელი/რემედიაციის ღონისძიებების მონიტორინგი. ამ მიზნით, ინსპექციას უნდა გამოეცა დასკვნები და ანგარიშები გარემოს აღდგენის პროექტებზე და საბოლოო ოქმები, რომლებიც დაადასტურებდა პროცესის წარმატებით დასრულებას. გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ტვირთის მქონე ადგილების მონიტორინგი CEI-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა და დღემდე (2023 წ.) გრძელდება. კონკრეტული ინსპექტორები პასუხისმგებლები არიან მუდმივ ზედამხედველობასა და მიმდინარე ღონისძიებების შეფასებაზე.

სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, დაეფინანსებინა დაბინძურებული რეგიონების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არასათანადოდ აღჭურვილი ობიექტების აღდგენა/რევიტალიზაცია. დაფინანსების მთავარ წყაროდ ეროვნული ქონების ფონდი იქცა. გარემოსდაცვითი ტვირთის ფინანსური პასუხისმგებლობა ახალ მფლობელებს არ დაეკისრათ – ეს მოვალეობა სახელმწიფომ იტვირთა, რადგან აშკარა იყო, რომ პრობლემა ხანგრძლივი იქნებოდა და გადააჭარბებდა ახალი მფლობელების ფინანსურ შესაძლებლობებს (ამასთან, სიტუაცია გამოწვეული იყო წინა – სახელმწიფო კომპანიების მიერ).

დაფინანსების მიმღები თითოეული სუბიექტი აწერდა ხელს ე.წ. გარემოსდაცვით ხელშეკრულებას. მოგვიანებით, 2006 წელს ფონდი გაუქმდა, ხოლო დაფინანსება გადანაწილდა შესაბამის სამინისტროებსა და რეგიონებს შორის.

პირველი ნაბიჯი იყო ძველი გარემოსდაცვითი ტვირთების კატეგორიზაცია მათი პოტენციური საფრთხის მიხედვით და იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რაში მდგომარეობდა ეს საფრთხე.

დაბინძურებული ტერიტორიები შეიძლება მოიცავდეს: ნარჩენების საყრელებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებს, მცირე საწარმოებს, სახიფათო სახიფათო ნივთიერებებს (მაგალითად აკრძალულ პესტიციდებს) დაუცველ საწყობებს, ყოფილ სამხედრო ბაზებს ან მინერალური რესურსების მოპოვებით დაზიანებულ ტერიტორიებს. [22] [23]

ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრომ (ME CR) შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის კატეგორიზაციის კრიტერიუმებს – ნივთიერებების საშიშროება, დაბინძურების მასშტაბი და სამომავლო გამოყენების გეგმები.

სამინისტრომ ასევე შექმნა ძველი ტვირთის მონაცემთა ბაზა და ატვირთა ოფიციალურ ვებგვერდზე. ძველი ტვირთის გაუვნებლება არის პირველი ნაბიჯი დაბინძურებული ტერიტორიების რევიტალიზაციის/აღდგენისა და შემდგომი გამოყენებისკენ.

ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის გაუვნებლების გამოცდილების წყალობით, ჩეხეთის რესპუბლიკა წლების განმავლობაში ამ სფეროს ერთ-ერთ ლიდერად იქცა. დღეს ეს ცოდნა და გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნებში, ძირითადად კი, ყოფილი "აღმოსავლეთის სოციალისტური ბლოკის" ქვეყნებში, რომლებსაც დაბინძურების მხრივ მსგავსი ტიპის გამოწვევები და დაბრკოლებები აქვთ.

ჰაერის დაბინძურების შედეგად (გოგირდის დაგროვება) ასევე მასიურად მოხდა ტყის განადგურება. ფოტო: იან რიხეცკი, ჩტკ

ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების დესულფურიზაცია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარემოს დაცვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების წილი

1990-2000 წლები – მშპ-ის 1.1%

1996-1997 წლები – მშპ-ის 2.5%*

* მოიცავდა დესულფურიზაციას, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას და ნარჩენების მართვას [24]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გოგირდის დიოქსიდის ემისიები, რომელთა ძირითადი წყარო ჩეხეთის რესპუბლიკაში მოპოვებულ და გოგირდის მაღალი შემცველობის ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურები იყო. ელექტროსადგურების დესულფურიზაცია 1990-იანი წლების ერთ-ერთი წარმატებული გარემოსდაცვითი რეფორმაა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჰაერის ხარისხი. ამ "წარსულის ვალის" საკითხის გადაჭრა პრიორიტეტად იქცა მაშინ ახლად დაარსებული ენერგოკომპანიისთვის (ČEZ Energy). ევროპაში ყველაზე მასშტაბური და სწრაფი გარემოსდაცვითი პროგრამა 7 წელში დასრულდა (მაგალითად, გერმანიაში იგივე პროცესი 14 წელი გაგრძელდა). ČEZ Energy-ს სურდა, რომ ელექტროსადგურები გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართული ყოფილიყო. 1992-1998 წლებში ČEZ Energy-მ ქვანახშირის ელექტროსადგურებში 5,930 მეგავატი სიმძლავრის დესულფურიზაცია განახორციელა და დამატებით დაახლოებით 500 მეგავატი სიმძლავრე აღჭურვა თანამედროვე თხევადი გამათბობლებით.

ამ პროცესში ინსპექციის (CEI) მთავარი დავალება ყველა შესაბამისი საქმიანობის შემოწმება და მონიტორინგი იყო.

მაგისტრი ვოიტეხ კოტეცკი, Hnutí DUHA-ს (არასამთავრობო ორგანიზაცია "ჩეხეთის რესპუბლიკის დედამიწის მეგობრები") დირექტორი, 2010 წელს ჩეხეთის ტელევიზიის ვიდეოში ამბობს: "1990 წელს ფინანსთა მინისტრმა ვაცლავ კლაუსმა განაცხადა, რომ ჩვენ ვერ შევამცირებდით გოგირდის დიოქსიდის გაფრქვევებს 30%-ით, რადგან მოგვიწევდა ჩვენი ელექტროსადგურების უმეტესობის გათიშვა. მაგრამ ახლა, 20 წლის შემდეგ, ჩვენ ვართ ელექტროენერგიის უდიდესი ექსპორტიორი ევროპაში, ჩვენ არ გავთიშეთ ჩვენი ელექტროსადგურები და გაფრქვევები 80%-ით შევამცირეთ."

თბოელექტროსადგურებში გამონაბოლქვისთვის ფილტრების დაყენება იყო გარემოს დაცვის მეთოდი „მილის ბოლოს“ პრინციპით („end of pipe“). თუმცა, ამან გამოიწვია ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ტყეების დაზიანების შემცირება, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში. გოგირდის დიოქსიდის წლიური რაოდენობა ჰექტარზე შემცირდა 60 კგ-დან (1980-იან წლებში) 10 კგ-მდე (2010 წელს). შედეგად, მჟავა წვიმებით დაზიანებული ტყეები აღდგა.

20 წელიწადში, მჟავა წვიმების უზარმაზარი ზემოქმედება შემცირდა და მიაღწია მაჩვენებელს, რომლის შედარებაც უკვე შეიძლებოდა ევროკავშირის (EU) დონესთან.

- ▲ **2010 წელს გარემოს დაცვაზე დაიხარჯა მშპ-ის 2.0%**
- ▲ **2010 წელს თბოელექტროსადგურების დესულფურიზაციის შედეგად გოგირდის დიოქსიდის გამოყოფა 10%-მდე შემცირდა**
- ▲ **2010 წელს გოგირდის დიოქსიდის რაოდენობა ჰექტარზე (წლიურად) 10 კგ-ს შეადგენდა** [25]

IV. ნიადაგის მომზადება და მარცვლის გაზრდა – ახალი მოწყობისთვის საფუძვლის ჩაყრა

CEI-ს (ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოსდაცვითი ინსპექციის) წინამორბედები იყვნენ ჩეხეთის წყლის მართვის ინსპექცია და ჩეხეთის ჰაერის დაცვის ტექნიკური ინსპექცია; ისინი იყვნენ განცალკევებული ორგანოები, რომლებსაც ჰქონდათ ვიწრო ფოკუსი გარემოს ორი მთავარი კომპონენტის – წყლისა და ჰაერის დაბინძურებაზე.

სახელმწიფო წყლის მართვის ინსპექცია და ჩეხეთის წყლის მართვის ინსპექცია

ომისშემდგომ პერიოდში, 1950-იან წლებში, წყლის დაბინძურების პრობლემებზე რეაგირების მიზნით, წყლის მართვის დაწესებულებების შექმნის აუცილებლობა წარმოიშვა. ზედაპირული წყლის დაბინძურება იზრდებოდა და ამიტომ, მისი დამუშავება მნიშვნელოვანი იყო. 1959 წელს ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების აშენების ვალდებულებას (წყლის მართვის კონტროლის საქმიანობა იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო სამართლებრივად გამყარებული, ეს მოგვიანებით მოხდა). 1959 წლის სახელმწიფო რეგიონული სტრუქტურის რეორგანიზაციამ ხელი შეუწყო შემოწმების ორგანოს – სახელმწიფო წყლის მართვის ინსპექციის შექმნას, რომლის ამოცანა იყო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წყლის ეკონომიური გამოყენების, ჩამდინარე წყლების ხარისხის და ამ წყლების გამწმენდი ნაგებობების სამშენებლო გეგმის კონტროლი.

სახელმწიფო წყლის მართვის ინსპექცია იყო ცენტრალური წყლის მართვის ადმინისტრაციის მაკონტროლებელი ორგანო (იმ დროს

ჩეხოსლოვაკია იყო ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც შედგებოდა ორი სახელმწიფოსგან) და სახელმწიფო კომპეტენციას ფლობდა. სამუშაოს ხელმძღვანელობდნენ ინსპექტორები, რომლებსაც ნიშნავდა და ათავისუფლებდა ცენტრალური წყლის მართვის ადმინისტრაციის თავმჯდომარე.

მოგვიანებით, 1967 წელს შეიქმნა ჩეხეთის წყლის მართვის ინსპექცია (CWMI), [26] რომელიც ჩეხეთის წყლების მონიტორინგს ახორციელებდა.

CWMI-ს მთავარი ამოცანა იყო: ჩამდინარე წყლებისა და სპეციალური წყლის ჩაშვების, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მუშაობისა და ტექნიკური მომსახურების, წყლის დაბინძურებისგან დაცვისა და ეკონომიური გამოყენების კონტროლი, ზედამხედველობა და ინსპექტირება. მოგვიანებით, ჩეხეთის წყლის მართვის ინსპექცია CEI-ის შემადგენლობაში შევიდა.

1960-იან წლებში ჰაერის დაბინძურების კანონმდებლობის აღსრულების სამართავად შეიქმნა კიდევ ერთი ინსტიტუცია – ჩეხეთის ტექნიკური ინსპექცია

იმ დროისთვის სახელმწიფო ორგანოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ჰაერის დაცვა გარკვეულ ტერიტორიებზე. ჩეხეთის ტექნიკური ინსპექციის მთავარი ამოცანა იყო ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის შემოწმება, ჰაერის დაბინძურების კონტროლი და ემისიებზე გადასახადის დაწესება. ინსპექტორებს ქარხნებში, საწარმოებსა და მცირე საწარმოებში შესვლის უფლება ჰქონდათ.

"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, ახლად შექმნილ გარემოს დაცვის სამინისტროს სურდა კომპონენტური გარემოს დაცვის გზის გაგრძელება. ეს მოდელი ნიშნავდა ცალკეული ინსპექციების შექმნას გარემოს ინდივიდუალური კომპონენტების დასაცავად, მაგ. ცალკე ინსპექციები წყლისთვის, ჰაერის დაბინძურებისთვის და ა.შ. თუმცა, კომპონენტური გარემოს დაცვის მიდგომის მოდელის შესახებ კანონების განხილვამ მთლიანად შეცვალა სურათი.

1991 წელს პარლამენტის წევრებმა რეკომენდაცია გაუწიეს ერთიანი ორგანოს შექმნას, რომელიც გარემოს დაცვის ყველა სეგმენტსა და კომპონენტს მოიცავდა. კანონპროექტი დამტკიცდა და 1991 წლის 19 ივნისს ძალაში შევიდა კანონი ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის შესახებ.

CEI შეიქმნა, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო და დაექვემდებარა ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს.

CEI-ის სტრუქტურა შედგებოდა ცენტრალური ოფისისა და რეგიონული ინსპექციებისგან, თითოეული ინსპექციის ხელმძღვანელითა და CEI-ის მთავარი ხელმძღვანელით. ამგვარად, შეიქმნა გარემოს დაცვის ერთიანი ინტეგრირებული ორგანო.

CEI-ს მთავარი როლი იყო ახალი (პრივატიზებული) სუბიექტების – საწარმოების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტყეებისა და წყლის რესურსების ახალი მფლობელების შემოწმება და მონიტორინგი.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩეხურ საზოგადოებაში ორი ფრაქცია გამოჩნდა – "ბაყაყები/მწვანეები და ბეტონის მშენებლები". ფრანტიშეკ პელცი, ჩეხეთის რესპუბლიკის ბუნების დაცვის სააგენტოს დირექტორი, ჩეხეთის ტელევიზიის ერთ-ერთ დოკუმენტურ ფილმში შემდეგნაირად აღწერს სიტუაციას: "ბეტონის მშენებლები მოწადინებულნი იყვნენ ეშენებინათ და რესტრუქტურიზაცია მოეხდინათ (ბევრმა ბეტონის მშენებელმა პრივატიზება გაუკეთა საწარმოებსა და დაწესებულებებს) და სურდათ რაც შეიძლება სწრაფად ეშენებინათ". ისინი მიჩვეულნი იყვნენ ქრთამის მიცემას და ე.წ. "ჯიბის ფულის" გადახდას, როგორც ეს ხშირად ხდებოდა წინა კომუნისტური ადმინისტრაციის დროს, პროცესის დაჩქარების მიზნით.

მეორე მხრივ, მეორე ფრაქცია იყო გარემოს დამცველები, რომლებსაც ახალი კანონმდებლობის შესაბამისად სურდათ გარემოს დაცვის სფეროში ცვლილებების განხორციელება, მაგრამ ამ ფრაქციას არ ჰქონდა ე.წ. "მწვანე შუქი" მოქმედებისთვის. [27]

ვინაიდან ეს ორი ფრაქცია ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ძალიან რთული გახდა ნებისმიერი გარემოსდაცვითი კონცეფციის აღსრულება. მაგალითად: გარემოსდაცვითი საგადასახადო რეფორმის ან ახალი განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების გამოცხადების პროექტების.

ამის მიუხედავად (1992 წლისთვის), ქვეყანაში უკვე არსებობდა გარემოსდაცვითი ინსპექციის, დაცვისა და მართვის ახალი სისტემის მნიშვნელოვანი საფუძვლები:

ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო (დაარსდა 1991 წელს)

ყველა საჭირო კანონმდებლობა გარემოს შესახებ

ორი ინსპექცია (ზემოთ ხსენებული, რომლებიც მოგვიანებით CEI-ს საფუძვლად იქცა)

საველე ინსპექტორები სპეციფიკური კომპეტენციებით

გარკვეული ცოდნა, მონიტორინგის აღჭურვილობასა და მონაცემებთან ერთად (თუმცა, არ არსებობდა სამართლებრივი შესაბამისობის ერთიანი მეთოდი და გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავდა.)

სამწუხარო სიტუაცია

ახლად შექმნილი CEI უკავშირდებოდა სახელმწიფოს ისტორიას და უნდა გამკლავებოდა მას – ჩვენ ვგულისხმობთ მექრთამეობის მემკვიდრეობით პრობლემას.

წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ორგანიზაციული კულტურა მოიცავდა გარკვეულ ქცევებს, როგორიცაა ინსპექტორების მიერ ქრთამის დაუფარავად მოთხოვნა.

კულტურული ჩვევები ერთ ღამეში არ იცვლება, ამიტომ თანამშრომლები კომუნისტური ეპოქის ნორმების შესაბამისად განაგრძობდნენ მუშაობას.

ბევრი შემთხვევა იდენტური იყო: ინსპექტორები ითხოვდნენ ქრთამს დასჯის ან ჯარიმის პატიებისთვის.

მაგრამ ინსპექტორები არაკეთილსინდისიერ საქციელში მარტო არ იყვნენ. CEI-ს მენეჯმენტის მხრიდანაც არსებობდა ზეწოლა, რომ “ეძებნათ, მაგრამ არ ეპოვათ”.

იმ პერიოდის ერთ-ერთი ინსპექტორი, რომელიც ანონიმურად დარჩენას ამჯობინებს, იმედგაცრუების მიზეზებს ასე აჯამებს:

> "გვავალდებულებენ, რომ ვეძებოთ, მაგრამ არ ვიპოვოთ. მხოლოდ პატიოსან ხალხს შეგვიძლია ბრალი დავდოთ უმნიშვნელო შეცდომისთვის. მაგრამ თუ თაღლითს ან საეჭვო ბიზნესმენს გადავეყრებით, რომელსაც ყველგან კარგი კავშირები აქვს, მაშინ უცებ მარტო ვრჩებით. და ზეწოლა ჩვენზეა, რომ ყველაფერი ხალიჩის ქვეშ დავმალოთ," – განმარტავს ინსპექტორი. [28]

- 2002 წ. – ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის ინსპექტორი ქრთამის აღებისთვის გაასამართლეს [29]
- 2004 წ. – ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის ინსპექტორს საჯარო მოხელის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ქრთამის აღება დასდეს ბრალად [30]
- 2004 წ. – პოლიციამ დააკავა საჯარო მოხელე ქრთამის აღების დროს [31]
- 2007 წ. – ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის ინსპექტორმა მოითხოვა ქრთამი [32]

V. ქმედითი გარემოსდაცვითი ინსპექციის ჩამოყალიბება

სამწუხაროდ, ქრთამის აღებისა და თაღლითობის პრობლემა CEI-ში ამ საუკუნის პირველ ათწლეულამდეც გაგრძელდა და ცალკეული შემთხვევები 2008 წლამდე ფიქსირდებოდა.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის აღმოფხვრა იყო (ეს პროცესი 2005 წლისთვისაც კი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული). ამასთან, შედეგები კვლავ არასაკმარისი იყო და ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში დაბინძურებულ გარემოს მოსახლეობის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე სერიოზული გავლენა ჰქონდა. [33]

სამინისტროსა (ME CR) და ინსპექციას (CEI) სჭირდებოდა რესტრუქტურიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ინსტიტუტისთვის სამართლებრივი ჩარჩო არსებობდა, მათი საქმიანობა არაპროდუქტიული, მოუქნელი, ძალიან ნელი და არაკოორდინირებული იყო.

"სინათლე გვირაბის ბოლოს" გაჩნდა ევროკავშირში გაწევრიანების მოწვევით. ევროკავშირში შესვლის პროცესი უკავშირდებოდა ისეთი პირობების შესრულებას, როგორიცაა: გარემოს დაცვის გაუმჯობესება, კერძოდ – ნარჩენების მართვა, ჩამდინარე წყლების გაწმენდა, ჰაერის ხარისხისა და ემისიების კონტროლი, ნიადაგის დაცვა.

უნდა დაწყებულიყო ქვეყნის გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის პროცესი. ამ სამუშაოს პირველ ეტაპზე ჩეხეთის ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ კანონმდებლობის მხოლოდ ფორმალური განხორციელებისთვის: ევროკავშირის რეგულაციების მიღება მეტწილად რიტორიკის დონეზე ხდებოდა და ნაკლებად პრაქტიკული გამოყენებისთვის. ჩეხეთის ცენტრალური ხელისუფლება კვლავ ჯიუტად უარს ამბობდა საჭირო ინფორმაციის გაცემაზე. გარემოს რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამალვის ტენდენცია ჯერ კიდევ სრულად დაძლეული არ იყო. [34]

ევროკავშირში ათი ახალი ქვეყნის, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკის გაწევრიანების აღნიშვნა 2004 წელს. ფოტო: DPA არქივი

ახალი საუკუნის პირველი ათწლეული დატვირთული აღმოჩნდა როგორც CEI-სთვის, ისე ME CR-ისთვის. ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, გამოჩნდა ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შედეგები და აუცილებელი იყო მათი გააზრება. [35]

რა უნდა გაეკეთებინა CEI-ს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად?

- ევროკავშირის ერთიან კანონმდებლობასთან (Acquis Communautaire) დაახლოების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ხელშეწყობა.
- თვინინგის პროგრამები. CEI-მ ორ პროგრამაში მიიღო მონაწილეობა: პირველი – გაერთიანებულ სამეფოსთან 1998 წელს (დასრულდა და

შეფასდა 2001-ში), მეორე კი ნიდერლანდებთან 2004 წელს (დასრულდა და შეფასდა 2005-ში).

თვინინგის პროექტები ცოდნის გაზიარების არსებითი ინსტრუმენტია. ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებითა და მათთან თანამშრომლობით.

- საჭირო იყო თვინინგის პარტნიორების მოძიება.
- აუცილებელი გახდა თვინინგის შეთანხმების შემუშავება და თემატიკის განსაზღვრა.
- უნდა გადაწყვეტილიყო თვინინგის ტიპი – თემატური თუ ორგანიზაციებს შორის.

- 2002 წლის მეორე ნახევარში CEI-მ დაიწყო საოფისე ტექნიკის მასშტაბური განახლება და საჭირო გახდა ახალი ავტომობილების შეძენა.

  ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო იურიდიული დეპარტამენტის შექმნა (რომელიც შემდგომში გაფართოვდა და ყველა რეგიონში ჩამოყალიბდა).

  მეტი მოქნილობის, ოპერატიულობისა და მოქალაქეებთან სიახლოვის მისაღწევად, ჩატარდა თანამშრომელთა გადამზადება. სწავლების მთავარი აქცენტი კეთდებოდა კომუნიკაციის უნარებზე, ადმინისტრაციულ პროცედურებსა და სხვა პროფესიულ უნარ-ჩვევებზე.

- რეფორმების მეორე ტალღა 2003 წელს განხორციელდა. მოხდა ინსპექციის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება, გაძლიერდა რეგიონული ინსპექციების ტერიტორიული უფლებამოსილებები, გაუმჯობესდა დეპარტამენტებს შორის კოორდინაცია და განმტკიცდა იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენციები.

მნიშვნელოვანი გარდამტეხი ეტაპი: ევროკავშირში გაწევრიანება 2004 წელს

ევროკავშირში გაწევრიანებამ უამრავი სარგებელი მოიტანა, მათ შორის:

- საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და მიდგომების შესაბამისობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.
- გარემოსდაცვითი ღონისძიებებისთვის ევროკავშირის დაფინანსების მიღების შესაძლებლობა. დამატებითი დაფინანსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი იყო 1989 წლამდე პერიოდიდან დარჩენილი მემკვიდრეობითი პრობლემების მოსაგვარებლად.
- CEI-ისა და ME CR-ის სრული რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობა, რაც მოიცავდა ორგანიზაციულ და სტრუქტურულ ცვლილებებს.
- ინსპექტორების გადამზადება – ენობრივი ტესტები.
- ანტიკორუფციული პროექტები და ტრენინგები.

თუმცა, ევროკავშირში გაწევრიანებამ მოულოდნელი გამოწვევებიც მოიტანა. ერთ-ერთი მათგანი იყო (და კვლავაც არის) ნარჩენების უკანონო იმპორტი. ევროპულ თავისუფალ სასაქონლო ბაზარზე შესვლით, ჩეხეთის რესპუბლიკა იაფი გადაწყვეტილებების სამიზნე გახდა. ნაგავსაყრელსა თუ ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანაზე თანხის დაზოგვა ზოგიერთი კომპანიისთვის მიმზიდველია. ძირითადად, ავსტრიისა და გერმანიის კომპანიები ახორციელებენ ისეთი ნარჩენების ტრანსპორტირებას ჩეხეთის რესპუბლიკაში, რომელთა გადამუშავებაც ადგილობრივად შეუძლებელია [36] [37]. ამ ქმედების აღსაკვეთად CEI თანამშრომლობს პოლიციასა და საბაჟო სამსახურთან. ის ასევე ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებასა და გრძელვადიან მონაცემთა ანალიზს. ნარჩენებით ვაჭრობის აღრიცხვა სავალდებულოა. თუმცა, რეალობა ისაა, რომ ზოგიერთი კომპანია ნარჩენებს ისე აღრიცხავს, თითქოს ეს სუფთა გადამუშავებადი ნედლეულია (რაც დასაშვებია), მაგრამ სინამდვილეში, ეს არის დაუხარისხებელი და ზოგჯერ სახიფათო ნარჩენები, რომელთა იმპორტიც აკრძალულია.

ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც ინტენსიური მუშაობა გაგრძელდა

სამი ძირითადი სიახლე განხორციელდა (როგორც ეს აღწერილია 2005 წლის წლიურ ანგარიშში):

- რადგან ჩეხეთის რესპუბლიკამ გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება იკისრა, გარემოს დაცვის სამინისტრომ (ME CR) შექმნა დაბინძურების ინტეგრირებული რეესტრი (IPR) – საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემა, რომელიც ასახავს ემისიებს და დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელებას. საჯარო ხელმისაწვდომობამ მნიშვნელოვნად განასხვავა IPR გარემოს დაცვის სფეროში არსებული სხვა რეესტრებისგან და გაცილებით მაღალი მოთხოვნები დაუწესა მას ადმინისტრირებისა და ფუნქციონირების კუთხით. გარემოს დამაბინძურებელი კომპანიები ვალდებულნი არიან, აღრიცხონ მავნე ნივთიერებების გამოყოფა წყალში, ნიადაგსა და ჰაერში. CEI-ს დაევალა ანგარიშგების ვალდებულების შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი.
- ევროკავშირის ახალი კანონმდებლობის ფარგლებში დაინერგა დაბინძურების ინტეგრირებული პრევენცია და კონტროლი (IPPC). IPPC ემყარება გარემოს დაცვის ინტეგრირებულ მიდგომას, რომლის მთავარი მიზანია დაბინძურების პრევენცია მის წარმოქმნამდე – თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შესაბამისი საწარმოო მეთოდების (ე.წ. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის – BAT) შერჩევით.
  ამ მიდგომით, გარემო გათვალისწინებულია ჯერ კიდევ საწარმოო პროცესის დასაწყისშივე და არა მხოლოდ მის საბოლოო ეტაპზე. სხვა სიტყვებით, ეს არის "დასაწყისიდან-დასასრულამდე" (“end-to-end”) მიდგომა. [38]
- ევროკომისიამ კომპანიებისა და ორგანიზაციების გარემოსდაცვითი საქმიანობის შეფასების, ანგარიშგებისა და გაუმჯობესებისთვის შეიმუშავა EMAS/EMS ინსტრუმენტი. CEI-მ დანერგა EMAS როგორც გარემოსდაცვითი ინსპექტირების მინიმალური კრიტერიუმი. [39] [40]

2005 წელს CEI-მ კიდევ ერთი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება განახორციელა, რომლის მიზანიც იყო მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ინსპექტორების გადამზადება და ცოდნის გაუმჯობესება კვლავ გრძელდებოდა, რაც მოიცავდა ევროპული სტანდარტებით დადგენილ სავალდებულო ენობრივ ტესტებს. [41]

ასევე შეთანხმება იქნა მიღწეული CEI-სთვის ეკო-მარკირების შემოღებაზე. ეს არის გარანტირებული სერტიფიცირების სისტემა, რომელიც ადასტურებს პროდუქტის ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და გარემოსთან თავსებადობას. [42]

შემდეგი წლები ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას, CEI-ის შიგნით ინტეგრაციისა და თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე ინსპექტორებისა და სხვა თანამშრომლების უწყვეტ გადამზადებას დაეთმო.

2010 წელს CEI-მ თავისი 20 წლის იუბილე აღნიშნა. 20 წლიანი მუშაობის განმავლობაში, ინსპექცია გახდა მაღალპროფესიული და გამჭვირვალე საინსპექციო ორგანო, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ზედამხედველობას, მონიტორინგს, აღსრულებასა და პრევენციულ საქმიანობას. CEI ჩამოყალიბდა მოქნილ, ქმედით სამეთვალყურეო ორგანოდ კვალიფიციური იურიდიული სამსახურით, რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან საკითხებს გარემოს დაცვისა და მართვის სფეროში.

გამოწვევები, რომლებიც გვაძლიერებს

კორუფცია

ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის მსგავსად, ჩეხეთის რესპუბლიკასაც უწევდა კორუფციის სერიოზულ პრობლემასთან გამკლავება. კორუფცია განისაზღვრება როგორც: "არაკეთილსინდისიერი ან არაეთიკური ქცევა, რომელიც ხშირად გულისხმობს ძალაუფლების ან თანამდებობის ბოროტად

გამოყენებას პირადი სარგებლისთვის. ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა ქრთამის აღება, თაღლითობა, გაფლანგვა ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ძირს უთხრის სისტემების, ორგანიზაციების ან პირების სანდოობასა და სამართლიანობას."

კორუფციის შემცირება ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობა იყო.

კორუფცია რთული და მრავალმხრივი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემასთან, საკანონმდებლო ხარვეზებთან და სხვა ფაქტორებთან. ეს არის არაფორმალური ფენა ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების სისტემის ქვეშ, რომლის აღმოფხვრა მარტივი არ არის. თუმცა, მისი შემცირება შესაძლებელია, რაც გრძელვადიან და უწყვეტ ძალისხმევას მოითხოვს. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი იყო მდგომარეობა 2005 წელს და როგორია დღეს, შეგვიძლია გამოვიყენოთ "საერთაშორისო გამჭვირვალობის" კორუფციის აღქმის ინდექსი:

> 2005 წელს ჩეხეთის რესპუბლიკა 158 ქვეყანას შორის 47-ე ადგილზე იყო, რაც მას პირველ მესამედში აყენებდა ინდექსის ქულით 3,36. 2022 წლისთვის მისი რეიტინგი გაუმჯობესდა და 180 ქვეყანას შორის 41-ე ადგილზე გადავიდა, ინდექსი კი 4,39-მდე გაიზარდა. [43] [44]

ჩეხეთის რესპუბლიკის ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად, CEI-მ და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა, 2005 წელს მიიღეს ანტიკორუფციული პროგრამა სახელწოდებით "კორუფცია და ანტიკორუფციული პოლიტიკა საჯარო ადმინისტრაციაში". პროგრამა შეიქმნა ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და "საერთაშორისო გამჭვირვალობის" თანამშრომლობით და მას მხარს უჭერდა ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური. სასწავლო სესიები ძირითადად ტარდებოდა სამინისტროების, რეგიონული ხელისუფლებებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მოხელეებისთვის.

ანტიკორუფციულმა პროგრამებმა, მაგალითად, მოხელეთა მუდმივმა ეთიკურმა განათლებამ და სასამართლო პროცესებმა ხელი შეუწყო კორუფციის შემცირებას ჩეხეთის რესპუბლიკაში და, შესაბამისად, CEI-ში.

მთავრობის დადგენილების (No.752, 2013 წლის 2 ოქტომბერი) საფუძველზე, CEI-მ მიიღო შიდა ანტიკორუფციული პროგრამა, რომელიც მოიცავს პროცედურებსა და ზომებს კორუფციული რისკების მართვისთვის. CEI-ის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს წესები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც კორუფციული პრაქტიკის შეზღუდვას ემსახურება.

პოლიტიკური ზეწოლა

არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ინსპექციას არ შეუძლია თავი აარიდოს პოლიტიკურ ზეწოლას, რადგან ის სახელმწიფო ადმინისტრაციის რთული სისტემის ნაწილია. სხვადასხვა ინტერესთა და ლობისტურ ჯგუფებს სურთ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს, პოლიტიკოსებს აქვთ კერძო ბიზნესები და გავლენას ახდენენ ინსტიტუტებზე და კანონების დამტკიცების პროცედურაზე თავიანთი მიზნების მისაღწევად. პოლიტიკური პარტიები გავლენას ახდენენ სახელმწიფოს მართვაზე – ისინი საკვანძო თანამდებობებზე მათ სასარგებლოდ მოქმედ ადამიანებს ნიშნავენ; ამრიგად, პოლიტიკური ვითარების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება ინსპექციაშიც.

ასეთ გარემოში მოქმედებს ინსპექცია, რომელიც უნდა იყოს ძლიერი ორგანო, რათა გაუმკლავდეს ზეწოლას. CEI-ის უახლესი ისტორია (2010 წლის შემდეგ) არ ყოფილა პრობლემების, სირთულეებისა და გამოწვევების გარეშე.

თანამშრომლების გათავისუფლების სამმა ტალღამ (ინსპექტორების ჩათვლით) გამოიწვია ინსპექტირებებისა და შემოწმებების რაოდენობის შემცირება.

> **2008-2010 წლებში ინსპექტირებების საშუალო რაოდენობა თითო ინსპექტორზე წელიწადში 38-40-ს შეადგენდა. თუმცა, 2021 წლისთვის შემოწმებების რაოდენობა თითო ინსპექტორზე 27 შემოწმებამდე შემცირდა.**

შემოწმებების სიხშირის შემცირება, რა თქმა უნდა, ნიშნავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის უფრო მაღალ რისკს. [45]

ასევე, გადამზადებული ინსპექტორების დაკარგვა ხშირად ნიშნავს, რომ რთული ან არასტანდარტული შემთხვევები გადაუჭრელი დარჩება ან საერთოდ თავიდან იქნება აცილებული და არც გაიხსნება. ინსპექტორი, რომელიც ხსნის საქმეს, ვალდებულია საქმე მიიყვანოს ბოლომდე. ამიტომ, ახალი და ნაკლები გამოცდილების მქონე ინსპექტორები ხშირად ერიდებიან რთული საქმეების გახსნას.

გადამზადებული ინსპექტორების დაკარგვის გარდა, იურისტების მნიშვნელოვანი გადინებაც მოხდა. დირექტორატის იურიდიული დეპარტამენტი თითქმის გაუქმდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინსპექტორების მუშაობაზე. ინსპექტორებმა დაკარგეს სამართლებრივი მხარდაჭერა და გახდნენ იზოლირებულები, განსაკუთრებით რთული საქმეების შემთხვევაში. არასტანდარტული საქმის გახსნა თითქმის შეუძლებელი გახდა, რადგან დარჩენილი იურისტები ვეღარ ახერხებდნენ ადრინდელივით გამკლავებოდნენ საქმეებს. [46]

ბოლო დირექტორი (2014-2022) არაპროფესიულ მართვაში დაადანაშაულეს. [47] ვარაუდობენ, მაგრამ ზოგიერთი ეკოლოგიური NGO-ის წარმომადგენლის [48] [49] [50] აზრით, მისი მთავარი ამოცანა პოლიტიკური დაკვეთის გამო CEI-ის დაშლა იყო.

მდინარე ბეჩვას შემთხვევა ძალიან კარგი მაგალითია და, შეიძლება ითქვას, ასახავს CEI-ის წინაშე არსებული გამოწვევების პიკს.

2020 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში მოხდა მდინარის დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შემთხვევა. მომწამვლელი ნივთიერების ჩაშვებამ (სავარაუდოდ ციანიდის) გამოიწვია 40 ტონა თევზის დახოცვა. [51] დღემდე (2023 წელი) გაურკვეველია, რამ მოწამლა ზუსტად თევზები; საქმე ჯერ დახურული არ არის; და უცნობია, რომელმა პირმა ან რომელმა კომპანიამ დააბინძურა ბეჩვას მდინარე.

თუმცა, ცხადია, რომ CEI-ის არაეფექტიანი მოქმედება, ბუნდოვანი კომუნიკაცია, ინციდენტის პირველივე დღეებში წყლის ნიმუშების არარსებობა, დროული რეაგირების უუნარობა და მთლიანობაში, ინსპექციის მწყობრიდან გამოსვლა [52] [53] ამ შემთხვევის გამოძიებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ XI თავი).

დღევანდელი ინსპექცია ნამდვილად უკეთესად მუშაობს, ვიდრე 30 წლის წინ, მაგრამ კვლავ უშვებს შეცდომებს.

როდესაც პოლიტიკური და კერძო ინტერესები დამოუკიდებელი ორგანოს საქმიანობაში ერევა, არსებობს რეპუტაციული ზიანის რისკი. ნებისმიერი ინსპექციის, მათ შორის CEI-ის მდგომარეობა მყიფეა, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოება მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს. სამოქალაქო გაერთიანებები, გარემოსდაცვითი ინიციატივები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია ამ პროცესში ერთგვარი "დაზღვევის მექანიზმად" იქცევიან – ისინი თამაშში ერთვებიან მაშინ, როდესაც სახელმწიფო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება გარე ზეწოლის – პოლიტიკური ან ლობისტური ინტერესების – შედეგად საფრთხის წინაშე დგება.

CEI-ის ახალ დირექტორს მოუწევს ავტორიტეტის აღდგენა დაიწყოს და მთავარი გამოწვევა საზოგადოების ნდობის დაბრუნება იქნება.

მდინარე ბეჩვა ვალაშსკე მეზირიჩისა და იურინკას შორის, ზლინის რეგიონი, ჩეხეთის რესპუბლიკა.
ფოტო: რადიმ ჰოლიში, ვიკიმედია ქომონსი

VI. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის საქმიანობა

CEI-ის წინამორბედები – სახელმწიფო წყლის მართვის ინსპექცია და ჩეხეთის ტექნიკური ინსპექცია – რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ზედამხედველობასა და მონიტორინგს უზრუნველყოფდნენ, საკუთარ უფლებამოსილებას ველზე მომუშავე ინსპექტორების მეშვეობით ახორციელებდნენ.

ეს მეთოდოლოგია დღემდე გამოიყენება CEI-ის მიერ. მაგალითად, ინსპექტორები ზედამხედველობას უწევენ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, კომპანიებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, ერთობლივ საწარმოებს, ასოციაციებს და ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა კანონმდებლობასა და გაცემულ ნებართვებს.

CEI საქმიანობას შემდეგ სფეროებში ახორციელებს:

> როგორც ეს CEI-ის ვებგვერდზეა მითითებული: ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექცია არის პროფესიული ორგანო, რომელსაც ევალება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობა. ის ასევე აკონტროლებს გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული სავალდებულო გადაწყვეტილებების შესრულებას. [54]

CEI ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მოქმედებს და სრულად მის დაქვემდებარებაშია.

პირველი კანონი, რომელმაც დაადგინა CEI-ის საქმიანობა, იყო აქტი No.282/1991.

დღეს ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის საქმიანობას ექვსი კანონი არეგულირებს: No.114/1992, No.334/1992, No.100/2004, No.162/2003, No.78/2004 და No.93/2018.

CEI ღიაა პროფესიონალებისა და საზოგადოებისთვის. ამით ის არა მხოლოდ გარემოს დაცვის სფეროში აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებს, არამედ გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საჯარო დისკუსიასაც უწყობს ხელს.

CEI-ის საქმიანობის მიმოხილვა

CEI-ის ზოგადი ამოცანაა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობა. დეტალურად ეს გულისხმობს, რომ CEI:

- ახორციელებს ინსპექტირებას – შემოწმებებს,
- ადგენს ხარვეზების გამოსასწორებელ ღონისძიებებს,
- აწესებს სანქციებს გარემოსდაცვითი კანონების დარღვევის შემთხვევაში,
- აკონტროლებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების, მცენარეების და მათი პროდუქტების ვაჭრობასა და მართვას (უკანონოდ

მოპოვებული ნიმუშებისა და პროდუქტების ჩამორთმევა),
- ზედამხედველობს ქიმიურ უსაფრთხოებას (სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების) და პროდუქციის უსაფრთხოებას,
- ზღუდავს ან აჩერებს საქმიანობას, თუ ის საფრთხეს უქმნის გარემოს,
- მონაწილეობს ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის/პრობლემების გადაჭრაში,
- განიხილავს მოქალაქეების/ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების ინიციატივებს,
- უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას კანონმდებლობის თანახმად შემოსული მოთხოვნების შესაბამისად,
- აწვდის მონაცემებს საზოგადოებას, მედიას და სახელმწიფო ადმინისტრაციას ინსპექციის პროცესში მოპოვებული გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ,
- ამზადებს დასკვნებს სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის და მონაწილეობს გარემოსთან დაკავშირებული კატასტროფების გამოძიებასა და მოგვარებაში,
- თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საინსპექციო ორგანოებთან და ევროკავშირის საინსპექციო ორგანოების ქსელთან (ე.წ. IMPEL – გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელება და აღსრულება).

უფლებამოსილება

1. ზედამხედველობა – შემოწმებები, რევიზიები, ინსპექტირება, გამოძიებები და ა.შ.

2. სანქციები
- ჯარიმები იურიდიული პირებისთვის
- ჯარიმები მეწარმეებისთვის
- ჯარიმები ფიზიკური პირებისთვის (კერძოდ წყლის დაცვის სფეროში),
- საქმიანობის ან/და წარმოების შეზღუდვა ან შეჩერება.

3. ზომები
- არაეფექტიანობის სწორად იდენტიფიცირების ზომები
- ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის გადაჭრა
- ინციდენტების აღრიცხვა და მათ გადაჭრაში მონაწილეობა
- გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობების უკანონო ნიმუშების ამოღება და კონფისკაცია
- მფლობელობაში უკანონოდ არსებული ნიმუშების (მაგალითად, ცხოველების) ან პროდუქციის ამოღება

4. პოზიციები/შეხედულებები
- დასკვნები, განცხადებები და თანხმობები სხვა უწყებებისთვის

5. შეტყობინებები
- მოქალაქეთა დაცვისა და CITES-ის (გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია) შესახებ შეტყობინებების განხილვა და გადაწყვეტა.

1. ზედამხედველობა

მთავარი ამოცანაა კერძო (ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული) კომპანიების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვის ზედამხედველობა, რაც ხორციელდება ინსპექტირების მეშვეობით. CEI იყენებს ორი ტიპის შემოწმებას – **გეგმურს და არაგეგმურს.** [55]

გეგმური შემოწმებების განრიგი წლის ბოლომდე დგინდება და მომავალი წლის გარემოსდაცვით გეგმას შეესაბამება. როგორც წესი, გეგმას აქვს რაიმე მთავარი მიზანი – როგორიცაა, მაგალითად, ემისიების შემცირება ან ზედაპირული წყლების უფრო ინტენსიური კონტროლი. ინსპექტორებმა გამოცდილებიდან უკვე იციან, რომელი სფეროები საჭიროებს რეგულარულ და გრძელვადიან შემოწმებას (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, ნაგავსაყრელები, ინსინერატორები, თბოელექტროსადგურები, მეტალურგიული ქარხნები და ა.შ.).

არაგეგმური შემოწმებები ტარდება მოქალაქეების, სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების შეტყობინებების საფუძველზე, ან როგორც რეაგირება გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე. ინსპექტორები ვალდებულნი არიან შესამოწმებელ პირს ყოველთვის წინასწარ შეატყობინონ ინსპექტირების დაწყების ადგილი, თარიღი და დრო. შეტყობინება მოიცავს საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალს. ინსპექცია უფლებამოსილია შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით შევიდეს კერძო ტერიტორიაზე.

2. სანქციები

ვალდებულებების დარღვევა შეიძლება დასჯადი იყოს ჯარიმით ან საქმიანობის შეჩერებით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: მიყენებული ზიანის მასშტაბი და სამართალდარღვევის გარემოებები.

<u>პრაქტიკული მაგალითი – დაკისრებული ჯარიმები – მონაცემები წლიური ანგარიშებიდან (2013 – 2021):</u>

წელი	ჯამური ოდენობა ჩეხური კრონა (CZK)/ევრო	საშუალო ჯარიმა/წელი
2013	170.000.000 CZK / 6.800.000 ევრო	70.000 CZK / 2.800 ევრო
2014	150.000.000 CZK / 6.000.000 ევრო	53.000 CZK / 2.100 ევრო
2015	140.000.000 CZK / 5.600.000 ევრო	48.000 CZK / 1.920 ევრო
2016	130.700.000 CZK / 5.100.000 ევრო	45.300 CZK / 1.700 ევრო
2017	113.100.000 CZK / 4.350.000 ევრო	42.600 CZK/ 1.600 ევრო
2018	100.300.00 CZK / 3.900.000 ევრო	39.400 CZK / 1.500 ევრო
2019	112.300.000 CZK / 4.300.000 ევრო	44.400 CZK / 1.700 ევრო
2020	87.600.000 CZK / 3.400.000 ევრო	43.000 CZK / 1.600 ევრო
2021	79.000.000 CZK / 3.160.000 ევრო	47.000 CZK / 1.880 ევრო

(2022 წელს მენეჯერის საშუალო შემოსავალი თვეში 50.000 – 90.000 CZK / 2.000 – 3.600 ევრო იყო, ხოლო საშუალო ხელფასი 40.000 CZK / 1.600 ევრო).

3. ზომები

ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოითხოვონ გამოვლენილი დარღვევების გამოსწორება ან მათი სრული აღმოფხვრა. გამოსწორების ზომების განსაზღვრა ინსპექტორის კომპეტენციაშია და მისმა მენეჯერმა უნდა დაადასტუროს. იმ შემთხვევაში, თუ კანონში გამოსწორების კონკრეტული წესი განსაზღვრული არ არის, ინსპექტორი მოქმედებს გამოცდილებისა და იმ პრინციპის მიხედვით, რომ ცვლილებებმა უნდა გააუმჯობესოს მდგომარეობა ან აღმოფხვრას დარღვევის გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები.

მაგალითად, თუ კომპანიამ ან მეწარმემ დაარღვია ნარჩენების შესახებ კანონი ან რეგულაცია, ის ვალდებულია აღმოფხვრას უკანონო ნაგავსაყრელის პრობლემა, განაცალკეოს ნარჩენები და მიიტანოს გადამამუშავებელ ობიექტზე. ან თუ სუბიექტმა დაარღვია სატყეო კანონმდებლობა, მას ეკისრება ვალდებულება აღადგინოს მის მიერ უკანონოდ გაჩეხილი ტერიტორია.

უფრო სერიოზული კანონდარღვევების შემთხვევაში შესაძლებელია დაწესდეს წარმოების ან საქმიანობის შეზღუდვა. ასეთმა მკაცრმა ზომებმა შეიძლება გამოიწვიოს შემოწმებული სუბიექტის საქმიანობის პარალიზება ან უარყოფითად იმოქმედოს მის შემოსავალზე. სწორედ ამიტომ, ინსპექტორი ადგენს პირობას – „მანამ, სანამ ამ საფრთხის გამომწვევი მიზეზები არ აღმოიფხვრება.“ ეს უბიძგებს სუბიექტებს, რაც შეიძლება სწრაფად გამოასწორონ სიტუაცია და გადაჭრან პრობლემა. ინსპექტორებს ასევე აქვთ უფლება აიღონ ნივთიერებების ან ობიექტების ნიმუშები მათი შემადგენლობის დასადგენად.

ძირითადად ჩეხეთის რესპუბლიკის აეროპორტებში, ინსპექცია კონფისკაციას უკეთებს უკანონოდ იმპორტირებულ გადაშენების საფრთხის

CEI ასევე მოქმედებს, როგორც ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ორგანო, მაგალითად, ნაგავსაყრელის ხანძრების პრევენციის მიზნით. ფოტო: არნიკას არქივი

წინაშე მყოფ და სპეციალურად დაცულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს.

4. მოსაზრებები

ინსპექცია (CEI) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ფარგლებში პროექტებზე გასცემს შეფასებებს. როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო, CEI სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ამზადებს მოსაზრებებს, განცხადებებს ან თანხმობებს. ეს პროცესი მიზნად ისახავს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას. CEI-მ ასევე შეიძლება გასცეს ექსპერტული მოსაზრებები ექსპლუატაციის ნებართვის პროცედურებზე, რაც რეგიონული დეპარტამენტების კომპეტენციაა (მაგალითად, ჰაერის დაცვის სფეროში ეს შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერი ტიპის ინსინერატორს). [56] [57].

5. შეტყობინებები

არაგეგმური შემოწმებების უმეტესობა ტარდება მოქალაქეთა, სახელმწიფო ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების ინიციატივით. მოქალაქეების შეტყობინებები გარემოს დაცვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ საზოგადოებასა და თემთან თანამშრომლობაა CEI-ის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი.

ამასთან, შეტყობინებებს შეუძლია გამოავლინოს გარემოსთვის მიყენებული ზიანი ან საფრთხე, რომელიც სხვაგვარად შეუმჩნეველი დარჩებოდა. თანამშრომლობის მოტივაცია საზოგადოებას გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან მოთამაშედ აქცევს.

ინფორმირებული საზოგადოება სწავლობს, რა არის გარემოსთვის მნიშვნელოვანი და რა – არა. მოქალაქეები და თემები ამას მედიაში გამოქვეყნებული შემთხვევების მაგალითზეც სწავლობენ. ყველა საქმე, რომლის გადაჭრის პროცესიც საჯაროდ ვრცელდება, მოქალაქეებისთვის სიგნალია, რომ შეტყობინებების დაფიქსირება სასარგებლოა.

პრაქტიკული მაგალითი: მოქალაქეთა შეტყობინებების სტატისტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით



VII. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის ამოცანები

ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის (CEI) ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მრავალი ცვლილება და ადაპტაცია გახდა საჭირო, რათა მიღწეულიყო დღევანდელი მდგომარეობა.

ერთ-ერთი მიზანი იყო CEI-ის ამოცანების დაზუსტება. ამოცანების ჩამოყალიბება გრძელვადიანი პროცესი იყო, რადგან განსაზღვრული ამოცანები პრაქტიკაში უნდა შემოწმებულიყო და საჭიროების შემთხვევაში გადახედილიყო. 2016 წლამდე ორი ტიპის ამოცანა იყო განსაზღვრული – ძირითადი და სპეციფიკური. ძირითადი ამოცანები ჩამოთვლილია ქვემოთ (შემდგომში სიტუაცია შეიცვალა – იხილეთ ქვემოთ).

CEI თანამშრომლობს მუნიციპალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოებთან, საბაჟო ორგანოებთან, სახანძრო სამსახურთან და ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიციასთან. ასევე, CEI მათ პროფესიულ და ექსპერტულ მხარდაჭერას უწევს.

ძირითადი ამოცანები [58]

CEI-ის საქმიანობის შინაარსი განსაზღვრავს მის ძირითად ამოცანებს. CEI-ის მისიაა გარემოსდაცვით სფეროში კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობა (წყალი, ჰაერი, ნარჩენები, ბუნება, ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ტყის დაცვა). CEI-ის ძირითადი ამოცანები ყოველწლიურად განისაზღვრება დოკუმენტით, რომელსაც ეწოდება ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის საქმიანობის გეგმა მოცემული წლისთვის. ცენტრალური ოფისი ადგენს მოთხოვნებს და გადასცემს მათ რეგიონულ ინსპექციებს, რომლებიც გეგმიდან განსაზღვრავენ შემოწმებების საბოლოო რაოდენობას (წლიურად ან კვარტალურად).

ჰაერის დაცვა

ჰაერის დაცვა

CEI ხელს უწყობს ჰაერის დაბინძურების მინიმიზაციას.

ამ სფეროში მთავარი საქმიანობაა ემისიების ზღვრების, ჰაერში სუნის მქონე ნივთიერებების, კვამლის დასაშვები სიმუქის და სუნის შეღწევის მისაღები დონის კონტროლი.

CEI-ის სხვა ამოცანაა ექსპერტული შეფასებების მომზადება ისეთი ობიექტებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან IPPC-ის (ინტეგრირებული დაბინძურების პრევენცია და კონტროლი) და სჭირდებათ ინტეგრირებული ნებართვის მიღება ან მისი ცვლილება.

ინსპექტორებს ასევე უფლება აქვთ გააკონტროლონ ინსინერატორებისა და გათბობის საწარმოების ტექნოლოგიები და ემისიების ლიმიტები.

“სათბურის გაზების შესახებ” კანონის თანახმად, ინსპექტორი იღებს სათბურის გაზის ნიმუშებს, ამოწმებს შემადგენლობას და მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს შესაბამის ზომებს.

წყლის დაცვა

წყლის დაცვა

CEI-ის როლი ამ სფეროში მოიცავს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვას, ასევე ოპერატორების მიერ შესაბამისი ნებართვებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს. CEI:

- ამოწმებს მდინარის ტრანსპორტს წყლის დაცვის თვალსაზრისით,
- მნიშვნელოვან როლს ასრულებს წყალსადენებზე ინციდენტების მოგვარებაში (მაგ. აქვს უფლება გასცეს მითითებები ასეთი შემთხვევის დროს და მისი შედეგების შესამცირებლად),
- აკონტროლებს მინიმალურ ბიოლოგიურ წყლის ნაკადს (მინიმალური ნარჩენი წყლის ნაკადი).

CEI მართავს წყლის დაბინძურების შემთხვევების მონაცემთა ბაზას, რაც კონტროლისა და გარემოზე, როგორც წესი, ხანგრძლივი შედეგების აღრიცხვისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების მართვა

ამ სფეროში საქმიანობის საფუძველი არის კანონთან შესაბამისობის შემოწმება და ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიების საქმიანობის შეზღუდვა ან შეჩერება.

ამ მიზნით, CEI:

- ატარებს ინსპექტირებას ნარჩენების წარმოქმნის ადგილებზე.
- ამოწმებს ნარჩენების ტრანსპორტირებას ქვეყნის შიგნით, ასევე ნარჩენებით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასა და ტრანზიტს.
- კრძალავს ისეთი ბატარეებისა და აკუმულატორების გაყიდვას, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ ადამიანების ჯანმრთელობას ან გარემოს
- ამოწმებს გამოყენებული პროდუქტების – ელექტრონიკის, საბურავების, ბატარეებისა და აკუმულატორების – გადამუშავების ვალდებულების შესრულებას.

ინსპექტორებს შეუძლიათ შეამოწმონ ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების აღრიცხვები, უკანონო პესტიციდებით ვაჭრობის გამოსავლენად. ასევე, კონტროლს ექვემდებარება სამრეწველო ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობა.

ბუნების დაცვა

ბუნების დაცვა

CEI ამოწმებს სამართლებრივი რეგულაციების შესრულებას ბუნების დაცვისა და ლანდშაფტის დაცვის სფეროში. CEI ავლენს და აღრიცხავს ბუნებისა და ლანდშაფტის საფრთხეებისა და დაზიანების შემთხვევებს და ამოწმებს მცენარეთა ან ცხოველთა განსაკუთრებულად დაცული სახეობების წარმომავლობას. CEI:

- ზედამხედველობს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებითა და მცენარეებით ვაჭრობას,
- ამოწმებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებით ვაჭრობის ლიცენზიებსა და ნებართვებს,
- ამოწმებს სელაპის ბეწვისა და მისი პროდუქციით ვაჭრობას,
- აკონტროლებს სპეციალური რეგულაციების ქვეშ მყოფი ბეწვითა და ცხოველებით ვაჭრობას,
- ამოწმებს გარეული ცხოველების გადარჩენის ცენტრებს, ზოოპარკებსა და კერძო მფლობელებს,
- ამოწმებს გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეებისა და მიკროორგანიზმების გამოყენებას.

CEI იკვლევს სასოფლო-სამეურნეო მიწების და რესურსების დაბინძურების ან დაზიანების შემთხვევებს, მათ შორის, სვიის ველებს, ვენახებს, ბაღებს, ხეხილის ბაღებს, მინდვრებს, თევზსაშენ ტბორებს, აგრეთვე საველე/მინდვრის გზებსა და სარწყავ რეზერვუარებს. CEI ამოწმებს მიწის დაუშვებელ, ფერმერული საქმიანობის გარდა სხვა მიზნებისთვის გამოყენებას.

ტყის დაცვა

ტყის დაცვა

CEI იძიებს ტყეების დაზიანებასა და მის გამომწვევ მიზეზებს, ასევე იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზიანებაზე. ის იკვლევს ტყის დაზიანებას, აწესებს აღდგენით ღონისძიებებს და აგვარებს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: ჭარბი ან უკანონო ტყის ჩეხა, სატყეო მიწებისა და გზების დაზიანება, ასევე სატყეო მიწების არამიზნობრივი გამოყენება (ტყის გაშენებისა და მოვლის ნაცვლად ნარჩენების ნაგავსაყრელად ან დაზიანებული ნიადაგის განთავსების ადგილად გამოყენება).

CEI-ის განსაკუთრებული ამოცანაა “მონუმენტური/ვეტერანი” ხეების დაცვა (ხეები, რომლებიც ინდივიდუალურად არის დაცული მათი გამორჩეული ისტორიული და კულტურული ღირებულების გამო).

სპეციფიკური ამოცანები [59]

CEI-ის რეგულარული ინსპექტირების, გამოძიებისა და შემოწმების საქმიანობის გარდა, არსებობს განსაკუთრებული ყურადღების სხვა არეალები. ეს ეხება რეგულაციების განმეორებით დარღვევებს (მაგალითად, სასტუმროების წყლის გამწმენდი დანადგარები, ბიოგაზის ელექტროსადგურები და ა.შ.). ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ინსპექტორებს, რადგან მათ უნდა იცოდნენ საკითხი და შეარჩიონ ობიექტები (საწარმოები, კერძო სუბიექტები და სხვ.), რომლებიც რეგულარულად და გრძელვადიანად შემოწმდება. სპეციფიკური ამოცანების ფარგლებში, ეს კომპანიები სპეციალურად და რეგულარულად (რამდენიმე წლის განმავლობაში) კონტროლდება რეგიონული ინსპექტორების მიერ. შემოწმების საქმიანობა ასევე ფოკუსირებულია რეგიონებზე, სადაც არსებობს გარემოსთვის სერიოზული ზიანის მიყენების პოტენციური საფრთხე. ეს ამოცანა ვერ შესრულდება პრაქტიკის ცოდნის გარეშე.

ტიპური მაგალითები:

- სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების (ე.წ. “გესთ ჰაუსების”) მიერ წყლის დაცვის აქტის ხშირი დარღვევა – ჩამდინარე წყლების წყალსადენებში ჩაშვება ან მიწისქვეშა წყლების უკანონოდ გამოყენება;
- ბიოგაზის მწარმოებლების მიერ სახიფათო ნივთიერებების რეგულაციების განმეორებითი დარღვევები;
- ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წყლის დამაბინძურებლის რეგულარული შემოწმება – ინსპექტორებმა არაერთხელ გაზომეს ფოსფორის დონე, რამაც გამოავლინა პესტიციდების არსებობა დამუშავებულ/გაწმენდილ წყალში.

2016-2018 წლებში სპეციფიკური ამოცანები შეიტანეს ძირითად ამოცანებში, რადგან შემოწმებების გეგმები ორივეს მოიცავდა.

პრაქტიკული მაგალითები – 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახული იყო შემდეგი სპეციფიკური ამოცანები:

- **წყლის გამოყენება ნებართვის გარეშე:** სასტუმრო სახლმა Penzion Hájenka გამოიყენა 1.225 m^3 წყალი ნებართვის გარეშე, Děčínská Sportovní-მ გამოიყენა 6.154 m^3 წყალი ნებართვის გარეშე
- **ჩამდინარე წყლების ჩაშვება წყალსადენში:** სასტუმრო Alpská vyhlídka, Mayr-Melnhof Holz Paskov Ltd. და ALFA VERUS Ltd.
- **სახიფათო ნივთიერებების რეგულაციის დარღვევა:** FOBOS INVEST a.s. მავნე ნივთიერებების დამუშავება დამტკიცებული საგანგებო გეგმის გარეშე



ხვალეტიცეს ელექტროსადგური (საილუსტრაციო ფოტო) ფოტო იან ლოსენიცკი

VIII. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის სტრუქტურა

CEI არის სახელმწიფო ადმინისტრაციის სპეციალიზებული ორგანო, რომელიც ახორციელებს პრევენციულ ინსპექტირებებს და სანქცირების ღონისძიებებს გარემოს დაცვის სფეროში.

CEI-ის საქმიანობაა – ობიექტების მონახულება, ემისიების მონიტორინგი და შიდა ანგარიშებისა და თანმდევი დოკუმენტების შემოწმება, თვითმონიტორინგის გადამოწმება, გარემოს მართვისთვის გამოყენებული ტექნიკისა და გარემოს მართვის შესაბამისობის შემოწმება.

CEI-ის დირექტორატს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც გარემოს დაცვის მინისტრის მიერ ინიშნება. მისი შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება რეგულირდება საჯარო სამსახურის კანონით.

CEI-ის ძირითად სტრუქტურას აქვს მართვის ორი დონე:

1. ცენტრალური ოფისი (1993 წლიდან ცნობილია დირექტორატის სახელწოდებით).

დირექტორატი CEI-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ასრულებს მმართველ, ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ ფუნქციებს.

ორგანიზაციულ საქმიანობას CEI-ის დირექტორატში ახორციელებს სამი დეპარტამენტი:

- ეკონომიკისა და ოპერაციების დეპარტამენტი,
- შიდა მომსახურების დეპარტამენტი,
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

მეთოდოლოგიურ საქმიანობას CEI-ის დირექტორატში ახორციელებს ორი პროფესიული დეპარტამენტი:

- ტექნიკური დაცვისა და ინტეგრირებული პრევენციის დეპარტამენტი,
- ბუნების დაცვის, ტყის დაცვისა და CITES-ის დეპარტამენტი [60]

2. რეგიონული ინსპექციები (რი) – 1995 წლიდან ათი მათგანი არსებობს: პრაღის, ჩესკე ბუდეიოვიცეს, პლზენის, უსტი ნად ლაბემის, ჰრადეც კრალოვეს, ჰავლიჩკუვ ბროდის, ბრნოს, ოლომოუცის, ლიბერეცის, ოსტრავას.

CEI-ის დირექტორატი, მეთოდოლოგიურ მართვასთან ერთად, თავადაც ახორციელებს მაკონტროლებელ და გაზომვით საქმიანობას. გაზომვები ტარდება რეგიონული ინსპექციების მოთხოვნის საფუძველზე.

თანამშრომელთა რაოდენობა, დაყოფილი რეგიონული ინსპექციებისა და ცენტრალური ოფისის მიხედვით.

	წყლის დაცვა	ტყის დაცვა	ბუნების დაცვა	ნარჩენების მართვა	ჰაერის დაცვა	მხარდაჭერა	მაღალი რგოლის მენეჯმენტი და მენეჯმენტი	სულ
ცენტრალური ოფისი	4	2	9	4	4	4	55	**82**
	წყლის დაცვა	ტყის დაცვა	ბუნების დაცვა	ნარჩენების მართვა	ჰაერის დაცვა	მენეჯმენტი	ინტეგრირებული დაცვა	
რი პრაღა	11	6	11	11	9	9	2	**59**
რი ჩესკე ბუდეიოვიცე	9	5	6	9	8	10	2	**49**
რი პლზენი	9	3	7	10	7	7	2	**45**
რი უსტი ნად ლაბემი	8	4	9	10	6	6	2	**45**
რი ჰრადეც კრალოვე	9	4	7	9	7	5	1	**42**
რი ჰავლიჩკუვ ბროდი	7	5	8	6	8	5	1	**40**
რი ბრნო	10	6	8	11	10	10	2	**57**
რი ოლომოუცი	6	4	6	7	7	6	1	**37**
რი ლიბერეცი	5	3	6	7	4	5	2	**32**
რი ოსტრავა	9	4	7	11	7	5	1	**44**

მენეჯმენტისა და პროფესიული პერსონალის პროცენტული განაწილება (2020 წელს)*



განათლების მიხედვით განაწილება (ბოლო 10 წლის საშუალო მაჩვენებელი)*:



* პერსონალის რაოდენობა 2010 წელს იყო 630, ხოლო 2021 წელს – 540.

მენეჯმენტისა და პროფესიული პერსონალის რაოდენობრივი განაწილება (2020 წელს)*:

მთლიანი პერსონალის რაოდენობა	**546**
მაღალი რგოლის მენეჯმენტი - დეპარტამენტების ხელმძღვანელები, მენეჯმენტი	**17**
პროფესიული პერსონალი	**421**
დამხმარე პროფესიების თანამშრომლები	**108**

* ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს რაოდენობა და პროპორციები დაახლოებით იგივეა.

რატომ არიან კვალიფიციური ინსპექტორები მნიშვნელოვანი?

ინსპექტირების საქმიანობას რეგიონულ ინსპექციებში CEI-ის ინსპექტორები უზრუნველყოფენ. [61] [62] ინსპექციის საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის შესახებ კანონისა და კონტროლის წესის შესაბამისად.

ინსპექტორების განათლება და გადამზადება უმნიშვნელოვანესი საკითხია. მეთოდოლოგიის, პროცესებისა და პროცედურების სრულფასოვანი დაუფლება დაახლოებით ორ წელს მოითხოვს. ამ პერიოდის შემდეგ, ინსპექტორი მზად არის დამოუკიდებლად იმუშაოს თავის სფეროში. განათლებული, გადამზადებული და გამოცდილი ინსპექტორების შენარჩუნება კარგად ფუნქციონირებადი ინსპექციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორი (რადგან ზოგიერთ სფეროში ინსპექტირება მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზეა შესაძლებელი) შეძლებს რთული და კომპლექსური შემთხვევების მართვას.

თუ ინსპექტორების ცვალებადობა/გადინება ძალიან მაღალია და ისინი კვალიფიკაციის მიღებამდე ტოვებენ სამსახურს, რთული შემთხვევები შეუმოწმებელი რჩება. ასეთი საქმეების გახსნა ნიშნავს, რომ ისინი უნდა გადაიჭრას და დახუროს კიდეც, რაც მოითხოვს გამბედაობას, ასევე მეთოდოლოგიისა და პროცედურების სრულყოფილ ცოდნას.

რას მოიცავს ინსპექტორის სამუშაო?

ინსპექტორი მუშაობს როგორც ოფისში, ისე ველზე და საქმიანობისთვის ძირითადად იყენებს შემდეგ ხელსაწყოებს:

- კომპიუტერი
- ტელეფონი
- დრონები
- საზომი აღჭურვილობა (ოლფაქტომეტრისთვის ნიმუშის ამღები მოწყობილობა)
- ლაზერული მანძილმზომი
- ციფრული ფოტოაპარატი
- ხმის ჩამწერი

ზოგადად, ინსპექტორის საქმიანობა ორ ნაწილად იყოფა:

- ინსპექტორის დროის 40-45% ეთმობა საზედამხედველო და მაკონტროლებელ საქმიანობას და არის დაგეგმილი.
- დარჩენილი 55-60% ეთმობა დაუგეგმავ ინსპექტირებებს, მათ შორის, ავტორიზებული ემისიების გაზომვის შემოწმებას, საზოგადოების ინიციატივებს გარემოსდაცვითი საფრთხეების ან ზიანის შესახებ გაფრთხილების კუთხით.

ინსპექტორის მთავარი ამოცანაა გარემოს მდგომარეობის დაკვირვება და კონტროლი. ეს საქმიანობა მოიცავს:

- გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი რეგიონში ან კონკრეტულ ადგილზე (მათ შორის ემისიების კონტროლი, საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და ა.შ.).
- პროფესიული მხარდაჭერისა და კონსულტაციების ორგანიზება (საჭიროების შემთხვევაში) და ტექნიკური აქტივობების განხორციელება ბუნების დაცვისა და ლანდშაფტის დაცვის სფეროში.
- შემოწმებითი საქმიანობის განხორციელება – კომპანიების, საწარმოების, მწარმოებლების ინსპექტირება. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში – შესაბამისი წინადადებების მომზადება და გადაჭრის გზების შეთავაზება.
- საჭირო ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის ან კომპანიებისთვის. ინსპექტორი აწვდის კომპანიებს ინფორმაციას იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც მათ უნდა დაიცვან.
- გარემოს დაცვის კონცეფციებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება. კონსულტაციების გაწევა მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის.
- ტერიტორიული/სივრცითი დაგეგმვის პროცესში ბუნებრივი გარემოს ინტერესების დაცვა.

- გარემოს მდგომარეობის შესახებ კვლევებისა და გამოკითხვების მომზადება.
- დაცული ლანდშაფტური ტერიტორიების მართვა.
- ჯარიმების დაკისრება, საჭიროების შემთხვევაში პოლიციის ინფორმირება და მათთან კოორდინაცია.
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ექსპერტული დასკვნისთვის საჭირო მასალების მომზადება.

ყველა ინსპექტორს აქვს ოფიციალური საიდენტიფიკაციო მოწმობა, რომელიც ადასტურებს მის უფლებამოსილებას და რომლის წარდგენაც შეუძლია ნებისმიერი პირისთვის, ვინც ამას მოითხოვს.
ინსპექტორს აქვს უფლება:

- მიიღოს საჭირო ინფორმაცია;
- გადაამოწმოს საჭირო დოკუმენტაცია და ნებართვები;
- შეაგროვოს მტკიცებულებები, მათ შორის, ნიმუშები;
- შეზღუდოს ან აკრძალოს ზოგიერთი საქმიანობა
- შევიდეს ობიექტზე;
- ჩაატაროს ნივთებისა და პირების ინსპექტირება;
- ინსპექტირების პროცესში მოითხოვოს ექსპერტის ჩართვა.

ინსპექტორის მოვალეობები:

- შესაბამის პირებს წინასწარ აცნობოს შემოწმების შესახებ.
- დაიცვას იმ პირის ან პირების ანონიმურობა, რომელთაც პირველადი შეტყობინება გააკეთეს.

შემოწმების შედეგი არის ინსპექტირების ოქმი, რომელიც შეიცავს ინსპექტირების მიმდინარეობასა და შედეგს, აღმოჩენილი ფაქტების აღწერას და დასკვნას. შემოწმებული პირის ხელმოწერა ადასტურებს, რომ მან წაიკითხა ოქმის შინაარსი.

<u>ყოველწლიური შემოწმებები (გეგმური და არაგეგმური) მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.</u>



CEI-ის მიერ განხორციელებული საქმიანობების უმეტესობა პრევენციული ხასიათისაა, თუმცა შედეგი ხშირად არის ხარვეზების ან კანონდარღვევის აღმოჩენა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

გამოსწორების გზები მოიცავს სანქციებისა და ჯარიმების დაკისრებას ან საქმიანობის შეზღუდვას – ეს ზომები შეიძლება გამოყენებულ იქნას განმეორებით და ერთდროულად. თუ სანქციები არ მოქმედებს, CEI-ს აქვს უფლება, დახუროს საწარმო ან შეაჩეროს მისი საქმიანობა. სანქციების დაკისრება ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოების გზით.

IX. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის წლიური ბიუჯეტის მაგალითი

სამინისტროები ფინანსებს იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ევროკავშირის ფონდებიდან. განსაკუთრებული ღონისძიებებისთვის, რომელთა დაფინანსება ვერ ხერხდება ევროკავშირის ფონდებიდან ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დამატებით იქმნება ეროვნული ფინანსური პროგრამები.

CEI, როგორც ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს (ME CR) აღმასრულებელი ორგანო, სრულ დაფინანსებას სამინისტროს მეშვეობით იღებს.

ზოგადად, წლიური ბიუჯეტი პირდაპირ უკავშირდება რეგიონის ან ქვეყნის დაფინანსების სისტემას და ასევე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა დაწესებულების ზომა, სამართლებრივი სტატუსი, თანამშრომელთა რაოდენობა, ქონების ღირებულება, შენობების რიცხვი და ა.შ. ჩვენ დეტალურად არ განვიხილავთ CEI-ის დაფინანსების საკითხს და მხოლოდ ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით მის შესახებ.

CEI-ის წლიური ბიუჯეტის ნიმუში, რომელიც მოიცავს ყველა რეგიონსა და ცენტრალურ ოფისს. აქ მოცემული რიცხვები მიახლოებითია და დაფუძნებულია ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებლებზე.

პუნქტი	თანხა CZK/EUR
არაინვესტიციური ხარჯები (მობილური ტელეფონები, კომპიუტერები, ტექნიკური უსაფრთხოება და ა.შ.)	5.508.500 CZK / 220.340 EUR
საინვესტიციო ხარჯები (შენობების რემონტი და მოდერნიზაცია, მანქანები, ელექტრონული უსაფრთხოების სისტემა და ა.შ.)	41.744.000 CZK / 1.699.760 EUR
ხელფასები	370.000.000 CZK / 14.800.000 EUR
სულ	417.252.000 CZK / 16.690.080 EUR

შედარებისთვის:

- 1 930 950 000 000 CZK/77 238 000 000 EUR სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო შემოსავალი 2023 წელს
- 2 222 954 000 000 CZK/85 498 200 000 EUR სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯები 2023 წელს
- 26 680 000 000 CZK/ EUR სამინისტროს (ME CR) ბიუჯეტის საერთო შემოსავალი 2023 წელს
- 17 530 000 000 CZK/ EUR სამინისტროს (ME CR) ბიუჯეტის საერთო ხარჯები 2023 წელს [63]
- CEI-ის თანამშრომლების საერთო რაოდენობა 2021 წელს 540 იყო.

X. ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციის არასავალდებულო საქმიანობა

საერთაშორისო თანამშრომლობა ახალ იდეებს, გამოცდილების გაზიარებასა და კარგი პრაქტიკის გაცვლას უზრუნველყოფს. ეს ახალი "ქარის" წყაროა და ამიტომაც CEI აქტიურია საერთაშორისო დონეზე. როგორც პროგრესული და თანამედროვე ინსპექცია, CEI ექვსი ტიპის საერთაშორისო საქმიანობაშია ჩართული.

1. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელება და აღსრულება (IMPEL)

CEI თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საინსპექციო ორგანოებთან. ერთ-ერთი მათგანია ევროკავშირის ქსელი IMPEL, რომელიც 1992 წელს დაარსდა როგორც არაფორმალური ქსელი ინსპექციის მინიმალური კრიტერიუმების შესრულების ხელშეწყობისთვის. ამჟამად იგი საერთაშორისო არაკომერციული ასოციაციაა, რომელიც ბელგიაშია დაფუძნებული. CEI 2006 წელს გახდა IMPEL-ის წევრი.

არსებობს თანამშრომლობის რამდენიმე გზა, რომელშიც CEI აქტიურად მონაწილეობს:

- ცოდნის, უნარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება
- ქვეყნებს შორის ღონისძიებების კოორდინაცია, მაგალითად, ნარჩენების უკანონო ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის საკითხებში
- პოლიტიკის შემქმნელებისთვის უკუკავშირის მიწოდება

https://www.impel.eu

2. გარემოსდაცვითი შესაბამისობისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელი (INECE)

INECE მიზნად ისახავს მარეგულირებელი და არამარეგულირებელი მიდგომების გამოყენებას წევრ ქვეყნებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად. ქსელის მთავარი მიზანია წვლილი შეიტანოს ჯანსაღი და სუფთა გარემოს, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ეკოსისტემების დაცვის საქმეში.

CEI-ის წვლილი ქსელში მოიცავს: კოლეგიალურ განხილვას, პრაქტიკული ინფორმაციის გაცვლას და პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობას.

https://www.inece.org

3. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია (CITES)

კონვენცია განსაკუთრებით აკონტროლებს და ზღუდავს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობებით ვაჭრობას. CITES არის გლობალური საერთაშორისო შეთანხმება გაეროს ფარგლებში. ჩეხეთის რესპუბლიკა 1993 წელს გახდა წევრი.

CEI არის ინტერპოლის ველური ბუნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სამუშაო ჯგუფის წევრი. მისი ამოცანაა CITES-ის მხარეების თანამშრომლობის კოორდინაცია ევროპაში და ველური ბუნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ევროპის ქვეჯგუფში.

https://cites.org/eng

4. ორმხრივი თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან

CEI ორმხრივად თანამშრომლობს სლოვაკეთთან და პოლონეთთან დადებული შეთანხმებების ფარგლებში.

5. საზღვრისპირა თანამშრომლობა

CEI უზრუნველყოფს საზღვრისპირა თანამშრომლობას, განსაკუთრებით სპეციალიზებული ინსპექტორების საშუალებით, რომლებიც სასაზღვრო რეგიონებსა და თემებში მუშაობენ. ძირითადი ფოკუსი წყლის დაცვასა და ნარჩენების უკანონო საზღვრისპირა ვაჭრობაზეა.

6. ტრანსსასაზღვრო წყალსატევების დაცვის საერთაშორისო კომისიები

ინსპექტორები ჩეხეთის რესპუბლიკას წარმოადგენენ ელბის, ოდერისა და დუნაის მდინარეების ტრანსსასაზღვრო წყალსატევების დაცვის საერთაშორისო კომისიების შეხვედრებზე.

7. დახმარების ხაზი (ე.წ. "მწვანე ხაზი")

CEI-სა და საზოგადოებას შორის უფასო სატელეფონო კავშირი დამყარდა 2008 წლის 1 სექტემბერს. ხაზი საზოგადოებისგან წინადადებების, შეკითხვებისა და ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება. ეს არის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალება, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ პასუხები გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს აწვდიან ინფორმაციას CEI-ის სამართლებრივი კომპეტენციების შესახებ. ხაზი ყოველდღიურად მუშაობს და დღეში ერთ ან ორ შეტყობინებას ამუშავებს.

8. CEI როგორც გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის ნაწილი (EnviHELP)

გარემოსდაცვითი დახმარების სამსახური (EnviHELP) აგროვებს ინფორმაციას გარემოს შესახებ. EnviHELP პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია ყველა იმ თემაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება გარემოს (მაგალითად, სუბსიდირების პროგრამები). პორტალი დააფუძნა ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრომ და CEI სისტემის ნაწილი გახდა ბმულის გაზიარების გზით. ეს საქმიანობა ხელს უწყობს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას.

https://helpdesk.cenia.cz/hdPublic/

XI. რჩევები: როგორ ავაშენოთ ქმედითი ინსპექცია

გარემოსდაცვითი ინსპექცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოსდაცვითი კანონებისა და რეგულაციების აღსრულებაში. ის ზედამხედველობას უწევს და ამოწმებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სუბიექტების (და ზოგ შემთხვევაში ინდივიდების) შესაბამისობას გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან. ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია შემოგთავაზოთ 10 მნიშვნელოვანი პუნქტი ეფექტიანი ინსპექციის შესაქმნელად – თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გარემოებები, სამთავრობო და სამართლებრივი სტრუქტურები სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეიმუშავეთ მყარი კანონმდებლობა ინსპექციის საქმიანობის განსასაზღვრად და უზრუნველყავით ინსპექცია ძლიერი მანდატით. სახელმწიფო ადმინისტრაციაში ინსპექციის პოზიცია და მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. ინსპექცია უნდა იყოს ფინანსურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ორგანო.

შესაბამის კანონში მკაფიოდ განსაზღვრეთ ინსპექტორის (და მთლიანი ინსპექციის) კომპეტენციები და უფლებები. ინსპექტორებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეამოწმონ კერძო საკუთრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეაჩერონ, ან, როგორც მინიმუმ, შეზღუდონ მავნე საქმიანობა (მაგალითად, სამრეწველო საწარმოს ოპერირება) და დახურონ კანონდამრღვევი ბიზნესი. და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინსპექცია უნდა უზრუნველყოთ სათანადო შესაძლებლობებით, მაგ., ინსპექტორების ოპტიმალური რაოდენობით. ინსპექციის საქმიანობის შედეგად დაწესებული ჯარიმები და სანქციები უნდა ემყარებოდეს ადმინისტრაციულ სამართალს, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითნებური გადაწყვეტილებები. მნიშვნელოვანია, რომ დამრღვევებსაც კი ჰქონდეთ გასაჩივრებისა და სამართლებრივი დაცვის უფლება. ინსპექციამ უნდა შეიმუშაოს შემოწმებების წლიური გეგმები სწორ და განახლებულ მონაცემებზე დაყრდნობით (რეგულარულად განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა ელექტროსადგურების, საწარმოო ერთეულების, ჰაერისა და წყლის მნიშვნელოვანი დამაბინძურებლების შესახებ).

უზრუნველყავით ინსპექცია რეგულარული დაფინანსებით. საუკეთესო პრაქტიკაა, ინსპექცია დაექვემდებაროს გარემოს დაცვის ცენტრალურ სამინისტროს. ბიუჯეტმა უნდა დაფაროს ადეკვატური ხელფასები, საკუთარი ავტოპარკის ექსპლუატაცია, ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა და ექსპლუატაცია (როგორიცაა მობილური ლაბორატორია, დრონები და სხვ.).

დაიცავით ინსპექცია კორუფციისგან ტრენინგებით, ადეკვატური ხელფასებითა და შიდა კონტროლის მექანიზმებით (მაგ. ანონიმური ანტიკორუფციული ცხელი ხაზი, კორუფციის გამოძიების შიდა პროცედურა და სხვ.). არაკორუმპირებული ინსპექციის მისაღწევად მიზანშეწონილია ანტიკორუფციული სქემის შემუშავება სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან ერთად (მაგ. "საერთაშორისო გამჭვირვალობასთან"). კორუმპირებული ინსპექტორები სამართლებრივი ქმედებისთვის დიდი დაბრკოლებაა.

მოიწვიეთ და დაასაქმეთ სხვადასხვა სფეროს ექსპერტები, რათა ინსპექციამ შეძლოს კერძო კომპანიებისთვის ფეხის

აწყობა. აუცილებელია იურისტების და ტექნიკური ექსპერტების მოძიება ინსპექციის მანდატის ყველა სფეროს დასაფარად (მაგ., ბუნების დაცვა, სამრეწველო ობიექტები, სატყეო სფერო და სხვ.). რეგულარულად გადაამზადეთ ინსპექტორები ყველაზე მაღალ სტანდარტებზე დაყრდნობით.

რეგიონული ფილიალების ჩამოყალიბებას მრავალი უპირატესობა აქვს – ის უზრუნველყოფს ინსპექციის უფრო სწრაფ და მარტივ წვდომას პრობლემურ არეალებთან და საქმიანობებთან. რეგიონულ ფილიალებს უნდა ჰქონდეთ ტექნიკურ აღჭურვილობაზე წვდომა, და თითოეულმა ფილიალმა უნდა შეიმუშაოს საკუთარი წლიური საქმიანობის გეგმა.

საზოგადოებასთან თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს გარემოსთვის მიყენებული ისეთი ზიანის ან საფრთხეების გამოვლენას, რომლებიც სხვაგვარად შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამიტომ, აუცილებელია შეტყობინებების შეგროვების მარტივი სისტემის შექმნა (მაგ., ცხელი ხაზი, ონლაინ ფორმა). საზოგადოების წევრებს, რომლებმაც ინფორმაცია მიაწოდეს ცხელ ხაზს, უნდა ეცნობოთ ინსპექტირების შედეგები, რადგან ეს ზრდის ნდობას საგამოძიებო პროცესებისა და პროცედურების მიმართ. საზოგადოებას უნდა მიეცეს ინსპექციებში მონაწილეობისა და ადმინისტრაციული განხილვების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.
გარდა ამისა, საზოგადოებას ინსპექციის შედეგები უნდა ეცნობოს მოკლე ვადაში და მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ინსპექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და კანონდარღვევების პრევენციის ხელშესაწყობად აუცილებელია ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს ინსპექციის საქმიანობას ყველა სფეროში. მთავარი საქმეების უფრო დეტალური აღწერა ხელს უწყობს ინსპექციის პრაქტიკული საქმიანობის წარმოჩენას. წლიური ანგარიშები პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ღირებული წყაროა საზოგადოებისთვის, მედიისთვის და პოლიტიკის შემქმნელებისთვის.

ჯარიმები უნდა იყოს საკმარისად მკაცრი, რომ შეაკავოს კანონდარღვევები და მათი ოდენობა უნდა განახლდეს ინფლაციის შესაბამისად. ინსპექციას უნდა ჰქონდეს უფლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ჯარიმები კანონის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში.

ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები უნდა დაგროვდეს სპეციალურ საბანკო ანგარიშზე (მაგ., სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფონდი) და ჩაიდოს გარემოს დაცვის ღონისძიებებში, მათ შორის, საინფორმაციო კამპანიებში.

XII. პრაქტიკული მაგალითები

ქვემოთ მოცემული შემთხვევები გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ინსპექციის კომპეტენციების მკაფიოდ განსაზღვრა და საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა. როდესაც კომპეტენციები და აღმასრულებელი უფლებამოსილებები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის, მრავალმხრივი და რთული შემთხვევების მოგვარება მნიშვნელოვანად რთულდება.

გარემოს ყოველი დაბინძურება იწვევს დამატებით ხარჯებს, რაც ტვირთად აწვება ქვეყანას. გარემოსდაცვითი შემთხვევები დიდი ტვირთია განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა არ არის ძლიერი, ამიტომ კარგი პრევენციული სისტემა წარმატების ნახევარია.

დაზიანებულ ტერიტორიაზე ინციდენტის შედეგებს ბუნება წლების განმავლობაში იმკის, მას სჭირდება განსაკუთრებული ზრუნვა, გამოსწორება, შემდგომი რეგულარული მონიტორინგი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დამატებითი ხარჯები.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ინციდენტების პრევენცია, პროფესიონალური და საიმედო მონიტორინგის სისტემების არსებობა, დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაცია და იმ სიტუაციების წინასწარ განჭვრეტა, რომლებიც მომავალში შეიძლება დადგეს. მაგალითად, იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ რაც უფრო მეტი საწარმო ჩაუშვებს მდინარეში წყალს, მის გასწვრივ დაბინძურება უფრო მეტად დაგროვდება და აუცილებელია ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც დაბინძურების წყაროს განსაზღვრას შეძლებს.

ადგილობრივი დახურული საქმეები

ქვემოთ მოცემულია შემთხვევები, რომლებიც ასახავს CEI-ის საქმიანობას. ეს არის საქმეების ჯგუფი, სადაც ნათლად ჩანს, როგორ მოგვარდა კონკრეტული შემთხვევა და რა შედეგები მოჰყვა მას.

1. სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტიორმა კომპანიამ დაარღვია ქიმიური უსაფრთხოების ეროვნული კანონმდებლობა და ევროკავშირის რეგულაცია

<u>კომპანია "Grass EU"-მ არ მოახდინა სახიფათო ნარევების კლასიფიკაცია</u>

კომპანიამ 2020 წელს ვოლგოგრადიდან ჩეხეთის რესპუბლიკაში შემოიტანა და ბაზარზე განათავსა პროდუქტები, კერძოდ, საწმენდი და სარეცხი საშუალებები სპეციალური გამოყენებისთვის (ლაქების მოსაშორებელი, ძრავის საწმენდი), რომლებიც განკუთვნილი იყო ფართო მოხმარებისთვის. კომპანია Grass EU Ltd. არის სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტიორი, სარეცხი საშუალებების მწარმოებელი და ქიმიური ნარევების ექსპორტიორი. შემოტანილი საქონელი იყო როგორც სახიფათო ქიმიური ნარევი, ისე სარეცხი საშუალება.

რეგიონულმა ინსპექციამ ჰრადეც კრალოვეში (ბოჰემიის აღმოსავლეთში) შეამოწმა შეფუთვის ეტიკეტირება და ნარევების კლასიფიკაცია. ორივე არასაკმარისი აღმოჩნდა. კომპანიამ არასწორად მოახდინა ჯანმრთელობისთვის საშიში ნარევების კლასიფიკაცია და არ წარადგინა შეტყობინება იმპორტის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის (REACH) რეგულაცია. გარდა ამისა, კომპანიამ სახიფათო ნარევის იმპორტის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა ევროპის ქიმიურ სააგენტოს (ECHA), რაც სავალდებულოა ევროპარლამენტის კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის (CLP) რეგულაციით (No.1272/2008).

კომპანიამ დაარღვია ქიმიური ნივთიერებების იმპორტიორისა და მწარმოებლის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება, რის გამოც ინსპექციამ 150,000 ჩეხური კრონის (6,000 ევროს) ოდენობის ჯარიმა დააკისრა. კომპანიამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა, საბოლოოდ, ჯარიმა ძალაში დარჩა.

2. მორავანსკის ნაკადულის წყლის დაბინძურება

<u>კომპანიამ Tisk centrum Ltd Moravany ქალაქ ბრნოს მახლობლად საშიში სითხეებით დააბინძურა ნაკადული და ტბორი</u>

წყლის დაბინძურება მოხდა მორავანში, ქალაქ ბრნოსთან ახლოს (სამხრეთ მორავიის რეგიონი). ეს გამოწვეული იყო საბეჭდი წარმოებიდან სახიფათო ნივთიერების მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებში ჩაშვებით. 2016 წლის თებერვალში CEI-ში დარეგისტრირდა მოქალაქეთა შეტყობინება – მორავანის მეთევზეთა ასოციაციის წევრებმა წყლის ხარისხის გაუარესების შესახებ განაცხადეს. CEI-ის ინსპექტორებმა მორავანის ნაკადულსა და სათევზაო ტბორში საბეჭდი ნივთიერებები აღმოაჩინეს. მოგვიანებით კი დაადგინეს, რომ დაბინძურება Tisk centrum Moravany-ს საწარმოდან მოდიოდა. გარდა ამისა, კომპანიას დიდი რაოდენობით სახიფათო ნივთიერებებთან ჰქონდა შეხება დამტკიცებული საგანგებო გეგმის გარეშე. ასევე, ის მიწისქვეშა წყალს საკუთარი ჭაბურღილიდან წყლის მართვის შესაბამისი ნებართვის გარეშე იღებდა.

აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე CEI-მ კომპანიას 300,000 ჩეხური კრონის (12,000 ევროს) ოდენობის ჯარიმა დააკისრა. ასევე, გარემოსდაცვითმა ინსპექციამ მიიღო გამოსასწორებელი ზომები ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დასაცავად.

3. მეთევზემ ტონობით მკვდარი თევზი გაიტანა

შპს AGPI-ის აგროქიმიური მომსახურების ცენტრმა ტონობით თევზის სიკვდილი გამოიწვია

2019 წლის ივლისში, თევზების გამოსაკვებად მისულმა მეთევზეებმა მკვდარი თევზები აღმოაჩინეს. მათ დაუყოვნებლივ შეატყობინეს CEI-ს. ლაბორატორიული ანალიზით დადასტურდა წყალში ამონიუმის ნიტრატის მაღალი კონცენტრაცია. შემდგომი შემოწმება ჩატარდა სტანკოვის კომპლექსში, სადაც კომპანია AGPI ინახავს და ამუშავებს როგორც თხევად, ასევე მყარ სასუქებს. იმავდროულად, მეთევზეები ცდილობდნენ წყლის დაბინძურების შედეგების აღმოფხვრას ტოვარიშის ტბორში. აღმოჩნდა, რომ სტანკოვის კომპლექსიდან გამონადენი წყალი მილევსკის ნაკადულის გავლით ტბორში ჩაედინებოდა, რამაც ტონობით თევზის მოწამვლა გამოიწვია.

კომპანიას 200,000 ჩეხური კრონის (8,000 ევროს) ოდენობის ჯარიმა დაეკისრა, რადგან მან არ მიიღო შესაბამისი ზომები სახიფათო ნივთიერებებთან მუშაობისას.

4. ბიოგაზის საწარმო დაჯარიმდა ჰაერისა და წყლის დაბინძურებისთვის

CEI-მ რამდენიმეჯერ დააჯარიმა კომპანია Zucca, რომელიც მართავს ბიოგაზის საწარმოს

2016 წლიდან, კომპანია Zucca რამდენჯერმე დაჯარიმდა წყლის დაბინძურებისთვის, ჯამში 900,000 ჩეხური კრონის/36,000 ევროს ოდენობით. ამის გამო, CEI საკმაოდ ხშირად ამოწმებს ამ ობიექტს. ნებისმიერი ინსპექტირება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ჩატარდეს, რადგან დარღვევები მეორდება.

2016-2020 წლებში ახლომდებარე სოფლის მცხოვრებლებმა არაერთხელ მიმართეს CEI-ს, ზედმეტად მძაფრი სუნის გამო. ხსენებულ წლებში ინსპექტორები ითხოვდნენ დაბინძურების წყაროების საქმიანობის ნებართვას და შესაბამის მონაცემებს, თუმცა უშედეგოდ.

2021 წელს CEI-მ კვლავ მოუწოდა კომპანიას, წარედგინა მონაცემები ჰაერისა და წყლის დაბინძურების წყაროების ოპერირების შესახებ, თუმცა შედეგი იგივე იყო – მონაცემები არ წარდგენილა და Zucca-ს მენეჯმენტის მხრიდან კომუნიკაცია უკიდურესად არასათანადო აღმოჩნდა. ამგვარმა ქცევამ მაღალი ჯარიმის დაკისრება გამოიწვია.

2020 წლის აგვისტოში, ჰაერის დაცვის კანონის შესაბამისად, კომპანია არაავტორიზებული საქმიანობისთვის დაჯარიმდა ორი მილიონი ჩეხური კრონის (80,000 ევრო) ოდენობით.

5. Setra-მ ჩამდინარე წყლების ლამი პირდაპირ, დამუშავების გარეშე, გასცა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გამოსაყენებლად

SetraComposting-მა ჩამდინარე წყლების ლამი ნებართვის გარეშე მიიღო

კომპოსტირების საწარმოს ჰქონდა ლამის აერობული ფერმენტაციით (ბიოდეგრადირებადი ნარჩენების დაშლა ჟანგბადის მიწოდებით) დამუშავების ნებართვა. ეს იყო ერთადერთი დაშვებული პროცესი და სხვა მეთოდების გამოყენება არ შეიძლებოდა.

2019 წელს კომპანიამ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან 659 ტონის ოდენობით ლამი მიიღო, რომელიც შემდგომ ყოველგვარი დამუშავების გარეშე გადასცა ფერმერს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე პირდაპირი გამოყენებისთვის.

ამავე წელს, შედარებით ადრე, Setra-მ მიიღო ჩამდინარე წყლების ლამი, რომელიც შემდგომ განათავსა სოფელ ოსტროვ უ ლანშკროუნაში (აღმოსავლეთ ბოჰემია) მიწის ნაკვეთზე. კომპანიას ნაკვეთის ამ მიზნით გამოყენებაზე ნებართვა არ ჰქონდა.

CEI-ს მიერ ჩატარებული ინსპექტირების დროს, ობიექტს არ ჰქონდა სათანადო ჩანაწერები 659 ტონის ოდენობით ჩამდინარე წყლების ლამის შესახებ და დაარღვია საქმიანობის ნებართვა.

რადგან კომპანია არ აწარმოებდა სათანადო აღრიცხვას და დაარღვია საქმიანობის ნებართვა, ჰრადეც კრალოვეს რეგიონულმა ინსპექციამ კომპანიას 120,000 ჩეხური კრონის (4,800 ევროს) ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

6. ფენოლური წყლის გაჟონვა

ინციდენტის დროს მოხდა სახიფათო ნივთიერებების გაშვება

2019 წლის თებერვალში სოციალურ მედიაში ათეულობით ადამიანი ჩიოდა ჯანმრთელობის პრობლემებზე (თავის ტკივილი, ხველა და სიცხე). ქალაქ ხოდოვის (ბოჰემიის დასავლეთი) მაცხოვრებლებმა მიმართეს CEI-ს სუნისა და ჯანმრთელობის პრობლემების გამო. მეორე დღეს მეხანძრეებმა აცნობეს CEI-ს, რომ ნივთიერებებმა გაჟონა ხოდოვის ნაკადულში და მეხანძრეთა მეთაურმა დაადასტურა, რომ ეს ნივთიერება იყო ფენოლური წყალი ფისის შემცველობით.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში CEI-ს ჰაერისა და წყლის დაცვის დეპარტამენტმა შეამოწმა Sokolovská uhelná/სოკოლოვის ნახშირის კომპანიის გენერატორი და ობიექტები. დასკვნის მიხედვით, კომპანიამ დაარღვია სანებართვო პირობები.

ინციდენტის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ხოდოვის ნაკადულის ზედაპირული წყლის ხარისხი გაუარესდა. ქალაქ ხოდოვში კი მძაფრი სუნი რამდენიმე დღის განმავლობაში შენარჩუნდა.

კომპანია დაჯარიმდა 500,000 ჩეხური კრონით /20,000 ევროთი, რადგან მან არ მიიღო შესაბამისი ზომები ინციდენტის პრევენციისა და შესაძლო შედეგების შემცირებისათვის.

7. ხეების გაჩეხა – 60 ხე პრაღის მე-4 რაიონის იეზერკას ურბანულ პარკში

კომპანია "როსი სერვისმა" ჯანმრთელი ხეები მოჭრა.

2009 წლის მარტში პოლიცია გამოიძახეს. კომპანია "როსი სერვისმა" დაიწყო ჯანმრთელი ხეების გაჩეხა. მოქალაქეებმა ადგილზე CEI გამოიძახეს, რადგან სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ პრაღის მე-4 რაიონის საქალაქო საბჭოსთან იყო ეს საქმიანობა შეთანხმებული.

CEI-ის დირექტორი [64] ადგილზე მივიდა და ჩეხა შეაჩერა. თუმცა, მეორე დღეს კომპანიამ ხეების ჭრა განაგრძო, ამიტომ პრაღის მე-4 რაიონის მაცხოვრებლებმა კვლავ გამოიძახეს CEI და პრაღის მე-4 რაიონის გარემოს დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები. აღმოჩნდა, რომ პრაღის მე-4 რაიონის საქალაქო საბჭომ მართლაც გასცა ჭრის ბრძანება, თუმცა კომპანიამ სრულიად არაპროფესიონალურად იმოქმედა.

მთავარი პრობლემა იყო ის, რომ ხეების ჭრა ძალიან გვიან განხორციელდა. მარტის ბოლოს – ვეგეტაციური მოსვენების შემდეგ – ფრინველების ბუდობის პერიოდში არ არის ნებადართული ხეების მოვლის სამუშაოები. კერძოდ, კომპანიას არ უნდა გაეგრძელებინა ხეების ჭრა მას შემდეგ, რაც CEI-მ პირველად შეაჩერა პროცესი. "როსი სერვისს" უნდა გამოეძახებინა სპეციალისტი – ორნითოლოგი პროცესის ზედამხედველობისთვის ან გაეცა რეკომენდაცია, რომ აქტივობა გადაედოთ ვეგეტაციური მოსვენების პერიოდისთვის.

შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გადაწყვიტა, ხეების მოვლის პროცესი ვეგეტაციური მოსვენების პერიოდამდე გადაედო.

საერთაშორისო და შიდა საქმეები, რომლებიც დახურული არ არის

ყველა საქმეს არ აქვს კარგი და ცხადი დასასრული. სწორედ წარუმატებელი შემთხვევებიდან შეგვიძლია ვისწავლოთ, გავაუმჯობესოთ პროცესები და განვვითარდეთ.

შემდეგი სამი შემთხვევა კარგი მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ რამ ვერ იმუშავა და რისი გაუმჯობესება შეიძლება.

სატვირთოები სამხრეთ ევროპიდან არალეგალურ ნარჩენებს ეზიდებოდნენ

<u>უკანონო მუნიციპალური ნარჩენების იმპორტი</u>

2020 წლის მაისში პოლიციამ შეაჩერა "ვოლვოს" სატვირთო, რომელიც 20 ტონაზე მეტ ნარჩენებს ეზიდებოდა ავსტრიიდან დოლნი დვორიშტეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. ტვირთის უმეტესი ნაწილი იტალიიდან იყო შემოტანილი [65] 2020 წელს, თუმცა ეს ჰგავდა 2005 და 2006 წლების შემთხვევებს.

ტვირთი უნდა ჩაბარებოდა ერთ-ერთ კომპანიას ქალაქ ჩესკე ბუდეიოვიცეს (სამხრეთ ბოჰემია) მახლობლად. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ეს იყო პლასტმასის, ხის, კორპის, ქაღალდისა და სხვა მასალების ნარევი, რომლის ნაწილსაც ლპობა ჰქონდა დაწყებული.

საბაჟო კონტროლმა აღმოაჩინა, რომ ტვირთის ნაწილი სწორად დასახელებული ნარჩენების საფარქვეშ იყო შემოტანილი, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო არაგადამუშავებადი ნარევი.

გაცილებით მარტივი და ეკონომიურია აკრძალული ნარჩენების ჩეხეთის რესპუბლიკაში შემოტანა და ჩეხური ნარჩენების დამხარისხებელი კომპანიებისთვის მიყიდვა. ამის შემდეგ, ეს კომპანიები შესყიდვის დოკუმენტაციით ფუთავენ საქმეს, რითაც ნარჩენები "ჩეხურ ლეგალურ ნარჩენებად" იქცევა. საბოლოოდ, ეს ნარჩენები ან ნაგავსაყრელზე იყრება, ან უბრალოდ ობიექტის ტერიტორიაზე ინახება ყოველგვარი დამატებითი გადამუშავების გარეშე.

მსგავსი შემთხვევა მოხდა ჰურიში (ბოჰემიის სამხრეთით). დაახლოებით 6,300 ტონა ნარჩენი დაგროვდა დაახლოებით ერთი ჰექტრის ფართობზე, რომელიც ეკუთვნოდა კომპანია Profiacont-ს. დღეს უკვე არარსებულ კომპანიას სურდა ნარჩენების დახარისხება და შემდგომი დისტრიბუცია, მაგრამ კომპანია 2007 წელს გაუჩინარდა.

ამ არალეგალური ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია 2016 წელს განხორციელდა, რისთვისაც 8,000,000 ჩეხური კრონა (308,000 ევრო) დაიხარჯა, რაც ადგილობრივმა თემმა გადაიხადა.

მდინარე ოდრა/ოდერი მოწამლეს

<u>ბოლო პერიოდში მდინარის მოწამვლის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შემთხვევა ევროპაში</u>

2022 წლის ივნისში გერმანელმა და პოლონელმა მეთევზეებმა ოდრა/ოდერის მდინარიდან 350 ტონა მკვდარი თევზი ამოიღეს. მდინარის მოწამვლა, სავარაუდოდ, მის შუა და ზედა დინებას შორის მოხდა. პოლონეთის მხარეს წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემა არ არსებობდა, რის გამოც კატასტროფა ნელა და შეუმჩნევლად ვითარდებოდა. წყლის მარილიანობამ ხელი შეუწყო წყალმცენარეების გამრავლებას, რაც, თავის მხრივ, თევზებისა და წყლის მოწამვლის მიზეზი გახდა.

იმ დროს, როცა გერმანიაში ბრანდენბურგის გარემოს დაცვის სამინისტრო წყლის ანალიზს ატარებდა და აცხადებდა, რომ დაბინძურება, სავარაუდოდ, ერთზე მეტი მიზეზით იყო გამოწვეული, პოლონურმა ხელისუფლებამ ამ საკითხზე საერთოდ არ გაავრცელა ინფორმაცია. საბოლოოდ, საჯარო განცხადება ორი კვირის დაგვიანებით გაკეთდა, რადგან თავიდან ისინი სიტუაციის სიმძიმეს სათანადოდ ვერ აფასებდნენ

და პრობლემის სერიოზულობას ვერ აღიქვამდნენ. [66] ასევე, სრულად ჩავარდა გაფრთხილების სისტემა, რომელიც მდინარესთან მცხოვრები მოსახლეობისთვის SMS შეტყობინების გაგზავნას გულისხმობდა. აგვისტოს ბოლოს (შემთხვევიდან ერთი თვის შემდეგ) მოწამვლის ზუსტი მიზეზი კვლავ უცნობი იყო. ვარაუდობდნენ, რომ შესაძლო დამაბინძურებლებს შორის იყო ვერცხლისწყალი ან მესიტილენი (ნივთიერება, რომელიც საღებავების წარმოებაში გამოიყენება). [67].

ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – გერმანიაში BUND-მა და პოლონეთში Greenpeace-მა იცოდნენ, რომ მიზეზი იყო მაღალი მარილიანობა, რომელიც გამოწვეული იყო ნახშირის მაღაროებიდან და სხვა ინდუსტრიებიდან მდინარეში წყლის ჩაშვებით.

ნახევარი წლის შემდეგ, ევროკავშირის კომიტეტმა ამ ფაქტს ევროპაში მდინარესთან დაკავშირებული ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კატასტროფა უწოდა და დაადასტურა ის, რასაც BUND და Greenpeace თავიდანვე ამტკიცებდნენ. [68] ერთი წლის შემდეგ (2023) ჯერ კიდევ უცნობი იყო, დაეკისრა თუ არა ვინმეს ჯარიმა ან გატარდა თუ არა რაიმე გამოსასწორებელი ზომები.

ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება აქვთ, ისინი ადგილზე მუშაობენ და იცნობენ რეგიონულ/ადგილობრივ პირობებს. როდესაც ოფიციალური/სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა არ არსებობს, მოქალაქეების, მეთევზეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ახსნა-განმარტებები განსაკუთრებით ფასეული ხდება.

მდინარე ბეჩვას ორმოცი კილომეტრის მოწამვლა

<u>ჩეხეთის რესპუბლიკის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა</u>

2020 წლის 20 სექტემბერს ჩეხეთის რესპუბლიკაში რესპუბლიკაში მოხდა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე წყლის კატასტროფა, სერიოზულად მოიწამლა ბეჩვას მდინარის 40 კილომეტრიანი მონაკვეთი, რის შემდეგაც, მდინარის ზედაპირზე 40 ტონა მკვდარი თევზი ამოტივტივდა. დაბინძურება, სავარაუდოდ, მომწამვლელი ნივთიერების რამდენიმე გაჟონვამ გამოიწვია. შემთხვევის შემდგომ, პირდაპირი მტკიცებულებები—როგორიცაა წყლისა და თევზის ნიმუშები—არ შეაგროვეს, რამაც დამნაშავის სწრაფი და მარტივი იდენტიფიკაცია შეუძლებელი გახადა. ორმა ორგანომ, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ეთანამშრომლათ და მოეპოვებინათ სანდო ნიმუშები (CEI და ვალაშსკე-მეზირიჩის სახელმწიფო წყლის ორგანო) სრული მარცხი განიცადეს. CEI-მ დაადასტურა, რომ ინსპექტორმა აიღო წყლისა და მკვდარი თევზის ერთი ნიმუში, რაც არასაკმარისი იყო. შემდეგ, CEI და ვალაშსკე-მეზირიჩის სახელმწიფო წყლის ორგანო ცდილობდნენ პასუხისმგებლობა ერთმანეთისთვის დაეკისრებინათ. CEI-მ დაგვიანებით დაიწყო შემთხვევის შედეგების გამოძიება. პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ რატომ არ იმოქმედა CEI-მ თავისი კომპეტენციებისა და ამოცანების შესაბამისად.

ასევე გაურკვეველია, რატომ დაიწყო CEI-მ გამოსასწორებელი ზომების გატარება მხოლოდ ერთი წლის დაგვიანებით და არასამთავრობო ორგანიზაცია "არნიკასა" და ადგილობრივი მეთევზეების კავშირის ჩარევის შემდეგ.

ორი წლის შემდეგაც ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, რა მოხდა, ვინ იყო დამნაშავე და რამ გამოიწვია მოწამვლა. დღემდე (2023) ჯერ კიდევ არაა ცხადი, ბეჩვას მდინარე ნამდვილად ციანიდებით დაბინძურდა თუ სხვა მომწამვლელი ნივთიერებით და ვინ არის დამნაშავე. [69] [70]

გარემოსთან დაკავშირებული ტრანსსასაზღვრო ინციდენტებიდან ის შეგვიძლია ვისწავლოთ, რომ, თუ სათანადო მონიტორინგის სისტემა არ არსებობს, ადვილი ხდება პასუხისმგებლობის თავიდან არიდება ან დაბინძურებისთვის სხვა ქვეყნის დადანაშაულება (როგორც მდინარე ოდრა/ოდერის შემთხვევაში მოხდა). ამ მდინარის მდგომარეობას ზედამხედველობს ოდრა/ოდერის მდინარის დაბინძურებისგან დაცვის საერთაშორისო კომისია, რომელიც დაფუძნებულია სამი ქვეყნის შეთანხმებით. ამ შემთხვევამ აჩვენა, რამდენად რთული იყო ამ სამი ქვეყნისთვის კატასტროფის შესაჩერებლად ტესტირებისა და ერთიანი რეაგირების კოორდინირება.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვანია, რადგან მათ შეუძლიათ დამატებითი ტესტირების, მონიტორინგისა და დაკვირვების ჩატარება. მდინარე ოდრა/ოდერის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაცია Greenpeace-მა იცოდა მიზეზი იმ მომენტში, როდესაც სხვები ჯერ კიდევ პასუხებს ეძებდნენ. და Greenpeace ძალიან ახლოს იყო სიმართლესთან, როგორც ეს 2023 წლის თებერვალში დაადასტურა ევროკავშირის ანალიზმა 2022 წელს ოდრა/ოდერის მდინარეზე მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ.

ნარჩენებით საერთაშორისო ვაჭრობა, მდინარე ოდრა/ოდერის დაბინძურება და მდინარე ბეჩვას მოწამვლა გვიჩვენებს, რამდენად რთულია დამნაშავის იდენტიფიკაცია, როდესაც სამართლებრივი მექანიზმები არაეფექტიანია, აღმასრულებელი უფლებამოსილებები კი – ბუნდოვანი.

ევროკავშირის ანალიზზე დაყრდნობით, რომელიც 2022 წელს ოდრა/ოდერის მდინარეზე მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ჩატარდა [71] წარმოგიდგენთ რამდენიმე ძირითად საკითხს:

- ცოდნა (სატელიტური მონიტორინგი, ტესტები, მონაცემთა შეგროვება და ხელმისაწვდომობა), მონიტორინგის სისტემა და შეგროვებული მონაცემები პირდაპირ და საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს
- კომუნიკაცია – ადრეული, სრული კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა სახელმწიფო უწყებებს შორის
- აუცილებელია საგანგებო კომუნიკაციის მკაფიო პროცედურები
- გარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის შემთხვევაში, აუცილებელია გარემოსდაცვითი ზიანის ინვენტარიზაცია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დაცულ ჰაბიტატებსა და სახეობებზე ზემოქმედებაზე და უნდა შემუშავდეს ეკოსისტემის აღდგენის გეგმა შესაბამისი ღონისძიებებით
- კვლევა – ნებისმიერი მასშტაბური დაბინძურების შემდეგ აუცილებელია შემდგომი კვლევების ჩატარება, რათა გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მსგავსი კატასტროფების პრევენცია მომავალში

2020 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკაში ყველაზე დიდ, ღორღიან მდინარე ბეჩვაში გაჟონა მომწამვლელმა ნივთიერებებმა. ამან გამოიწვია მრავალკილომეტრიან მონაკვეთზე უამრავი ცოცხალი ორგანიზმის განადგურება. CEI-ს საქმიანობის ბოლოდროინდელ ისტორიაში, ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი, თუმცა, სამწუხაროდ, არა იზოლირებული შემთხვევაა. ფოტო: სტანისლავ პერნიცკი

ინსპექციის შექმნის საკვანძო ეტაპები

1989 "ხავერდოვანი რევოლუცია" და ცვლილებები საზოგადოებაში.

1990 ძველი გარემოსდაცვითი ტვირთის კატეგორიზაცია და შესაბამისი ადგილების მონიტორინგი (გრძელდება დღემდე).

1991 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო კანონმდებლობა დამტკიცდა.

1991 შეიქმნა ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექცია.

2001 დაიხურა და შეფასდა თვინინგის პროგრამა - როგორც ევროკავშირში შესასვლელად მოსამზადებელი ერთ-ერთი ნაბიჯი.

2002 CEI-მ დაიწყო ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია.

2003 CEI-ში რეფორმების მეორე ეტაპი განხორციელდა.

2004 ევროკავშირში გაწევრიანება, გარდამტეხი ეტაპი.

2005 დაიხურა და შეფასდა თვინინგის მეორე პროგრამა.

2005 CEI-მ განახორციელა მორიგი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება.

2005 საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრომ შექმნა ინტეგრირებული დაბინძურების რეესტრი (IPR), ხოლო CEI გახდა უფლებამოსილი ორგანო ანგარიშგების შესრულების ზედამხედველობისა და შემოწმების თვალსაზრისით.

2005 ევროკავშირის ახალი კანონმდებლობის შესაბამისად დაინერგა ინტეგრირებული დაბინძურების პრევენცია და კონტროლი (IPPC).

2005 CEI-მ დანერგა EMAS (ეკოლოგიური მენეჯმენტის და აუდიტის სქემა), როგორც გარემოსდაცვითი ინსპექციების მინიმალური კრიტერიუმი.

2010 CEI-ის 10 წლის იუბილე – ინსპექცია გახდა მაღალკვალიფიციური და გამჭვირვალე ორგანო.

2010 წლის შემდეგ

სირთულეები და გამოწვევები – თანამშრომელთა გათავისუფლების სამი ტალღა (ინსპექტორების ჩათვლით).

2014 – 2022 გავრცელებული მოსაზრებით, პოლიტიკური დაკვეთით, ბოლო დირექტორს ინსპექციის დაშლა დაევალა.

2020 მდინარის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური დაბინძურების შემთხვევა – CEI-ის წინაშე არსებული გამოწვევების მწვერვალი.

2023 ახალმა დირექტორმა უნდა აღადგინოს CEI-ის ავტორიტეტი, მთავარი გამოწვევა იქნება საზოგადოების ნდობის დაბრუნება.

ბიბლიოგრაფია და მონაცემთა წყაროები

1. გარემო 80-იან წლებში: დამალე ინფორმაცია, სატელევიზიო გადაცემა "არ დანებდე"; Životní prostředí v 80. Letech: Zamlčet informace, televizní pořad Nedej se, მოძიებულია: https://edu.ceskatelevize.cz/video/6699-zivotni-prostredi-v-80-letech-zamlcet-informace

2. მილადა პოდპეროვა, იან ჩინჩერა, 1998/1999, დისერტაცია "გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება 1989 წლამდე და დღეს"; diplomová práce Právo na informace před rokem 1989 a dnes, მოძიებულია: http://obcan.ecn.cz/text.shtml?x=135429

3. გარემოს მდგომარეობა ჩეხეთის რესპუბლიკაში 1989 - 2009/ სატელევიზიო გადაცემა "როგორ გავმწვანდით"; Stav životního prostředí v České republice 1989 – 2009, televizní pořad Jak jsme zezelenali, მოძიებულია: https://edu.ceskatelevize.cz/video/1698-stav-zivotniho-prostredi-v-ceske-republice-1989-2009?vsrc=vyhledavani&vsrcid=životn%C3%AD+prostřed%C3%AD+po+roce

4. რობერტ ოპელტი, 13.3.2019, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, "პრიორიტეტი - ტონობით ქვანახშირი. სოციალისტურ პერიოდში გარემო უგულებელყოფილი იყო"; článek na online serveru Tuny uhlí jako priorita. Životní prostředí bylo za socialismu opomíjené, მოძიებულია: https://www.idnes.cz/zpravy/domaci/ekologie-priroda-socialismus-30-let-svobody.A190309_140331_domaci_linv?recommendationId=00000001-0007-0000-0000-000000000000

5. მიროსლავ ვანეკი, Historie nova, 1996, წყარო: "აქ სუნთქვა შეუძლებელი იყო", თავი V. "ჩამოწერილი ლანდშაფტი, ადამიანის მსხვერპლი", ნაწილი 1. "ქვანახშირი, ენერგია, ქიმია"; Nedalo se tady dýchat, kapitola V. Odepsaná krajina, oddíl 1. Uhlí, energie, chemie, ISBN: 80-80500-58-6

6. ბაკალავრი იან ვანეკი, 26.4.2020, სამაგისტრო ნაშრომი "გარემოს დაცვის პრობლემატიკა გოტვალდოვის რეგიონში ნორმალიზაციის პოლიტიკის კონტექსტში"; magisterská práce Problematika ochrany životního prostředí na Gottwaldovsku v kontextu normalizační politiky, მოძიებულია https://theses.cz/id/ho6zs5/Jan_Danek_Problematika_ochrany_zivotniho_prostredi_na_Got.pdf

7. მილადა პოდპეროვა, იან ჩინჩერა, 1998/1999, დისერტაცია "გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება 1989 წლამდე და დღეს"; diplomová práce Právo na informace před rokem 1989 a dnes, მოძიებულია http://obcan.ecn.cz/text.shtml?x=135429

8. გარემო 80-იან წლებში: დამალე ინფორმაცია, სატელევიზიო გადაცემა "არ დანებდე"; Životní prostředí v 80. letech: Zamlčet informace, televizní pořad Nedej se, მოძიებულია https://edu.ceskatelevize.cz/video/6699-zivotni-prostredi-v-80-letech-zamlcet-informace

9. ევა კრუჟიკოვა, ვაცლავ მეზრიცკი, წყარო: სტატია ჟურნალში "იურისტი" No.3, წლიური გამოცემა no. 144 (2005), "გარემოსდაცვითი სამართლის კოდიფიკაციის ძირითადი საკითხები"; článek v Právník č.3, ročník 144 (2005), Základní otázky kodifikace práva životního prostředí https://katalog.polac.cz/Record/POLAC.100438

10. რობერტ ოპელტი, 13.3.2019, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, "პრიორიტეტი – ტონობით ქვანახშირი. სოციალისტურ პერიოდში გარემო უგულებელყოფილი იყო"; článek na online serveru Tuny uhlí jako priorita. Životní prostředí bylo za socialismu opomíjené, მოძიებულია https://www.idnes.cz/zpravy/domaci/ekologie-priroda-socialismus-30-let-svobody.A190309_140331_domaci_linv?recommendationId=00000001-0007-0000-0000-000000000000

11. იაკუბ ჰრუშკა, ირჟი კოპაჩეკი, Živa 2/2009, მჟავა წვიმების გავლენა ტყისა და წყლის ეკოსისტემებზე; Účinky kyselého deště na lesní a vodní ekosystémy, მოძიებულია https://ziva.avcr.cz/files/ziva/pdf/ucinky-kyseleho-deste-na-lesni-a-vodni-ekosystemy-1.pdf

12. გარემოს განადგურება, წყარო: სატელევიზიო გადაცემა "მე-20 საუკუნის ისტორიები"; Devastace životního prostředí, TV pořad Příběhy 20. Století https://edu.ceskatelevize.cz/video/7303-devastace-zivotniho-prostredi

13. მიროსლავ ვანეკი, Historie nova, 1996, წყარო: "აქ სუნთქვა შეუძლებელი იყო", თავი V. "ჩამოწერილი ლანდშაფტი, ადამიანის მსხვერპლი", ნაწილი 1. "ქვანახშირი, ენერგია, ქიმია"; Nedalo se tady dýchat, kapitola V. Odepsaná krajina, oddíl 1. Uhlí, energie, chemie, ISBN: 80-80500-58-6

14. წყარო: სამეცნიერო ნაშრომი, "პოლიტიკური სისტემის ცვლილებები 1989-1990 წლებში", 11.12. 1994; Proměny politického systému na přelomu 1989 – 1990, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი 1995

15. გარემო 80-იან წლებში: დამალე ინფორმაცია, სატელევიზიო გადაცემა "არ დანებდე"; Životní prostředí v 80. Letech: Zamlčet informace, televizní pořad Nedej se, მოძიებულია https://edu.ceskatelevize.cz/video/6699-zivotni-prostredi-v-80-letech-zamlcet-informace

16. ბაკალავრი იან ვანეკი, 26.4.2020, სამაგისტრო ნაშრომი "გარემოს დაცვის პრობლემატიკა გოტვალდოვის რეგიონში ნორმალიზაციის პოლიტიკის კონტექსტში";Problematika ochrany životního prostředí na Gottwaldovsku v kontextu normalizační politiky, მოძიებულია https://theses.cz/id/ho6zs5/Jan_Danek_Problematika_ochrany_zivotniho_prostredi_na_Got.pdf

17. მილადა პოდპეროვა, იან ჩინჩერა, 1998/1999, დისერტაცია "გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება 1989 წლამდე და დღეს"; diplomová práce Právo na informace před rokem 1989 a dnes, მოძიებულია http://obcan.ecn.cz/text.shtml?x=135429

18. მიროსლავ ვანეკი, Historie nova, 1996, წყარო: "აქ სუნთქვა შეუძლებელი იყო", თავი V. "ჩამოწერილი ლანდშაფტი, ადამიანის მსხვერპლი", ნაწილი 1. "ქვანახშირი, ენერგია, ქიმია"; Nedalo se tady dýchat, kapitola V. Odepsaná krajina, oddíl 1. Uhlí, energie, chemie, ISBN: 80-80500-58-6

19. გარემოსდაცვითი მოძრაობა 90-იან წლებში, სატელევიზიო გადაცემა "არ დანებდე"; Ekologické hnutí v 90. letech, televizní pořad Nedej se, მოძიებულია https://edu.ceskatelevize.cz/video/6701-ekologicke-hnuti-v-90-letech

20. გარემოსდაცვითი მოძრაობა 90-იან წლებში, სატელევიზიო გადაცემა "არ დანებდე"; Ekologické hnutí v 90. letech, televizní pořad Nedej se, მოძიებულია https://edu.ceskatelevize.cz/video/6701-ekologicke-hnuti-v-90-letech

21. გარემოსდაცვითი მოძრაობა 90-იან წლებში, სატელევიზიო გადაცემა "არ დანებდე"; Ekologické hnutí v 90. letech, televizní pořad Nedej se, მოძიებულია https://edu.ceskatelevize.cz/video/6701-ekologicke-hnuti-v-90-letech

22. კარელ ბლაჰა, 20 მარტი, 2009, სტატია ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე, სტატია "ძველი გარემოსდაცვითი ტვირთები"; článek na webové stránce Ministerstvo životního prostředí České republiky, Staré ekologické zátěže, მოძიებულია https://www.mzp.cz/cz/articles_kn090320sez

23. გარემოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, იხ. "ძველი გარემოსდაცვითი ტვირთები"; Statistická ročenka životního prostředí, Staré ekologické zátěže, მოძიებულია https://www.mzp.cz/www/dav.nsf/rocenka_06/a4.htm

24. "ინვესტიციები გარემოს დაცვაში სტაგნაციას განიცდის", 19 ოქტომბერი, 2011, სტატია ონლაინ პლატფორმაზე; článek na online serveru Investice do životního prostředí stagnují, მოძიებულია https://ekolist.cz/cz/zpravodajstvi/zpravy/investice-do-zivotniho-prostredi-stagnuji-tvrdi-statistici

25. იაკუბ ჰრუშკა, ირჟი კოპაჩეკი, Živa 2/2009, მჟავა წვიმების გავლენა ტყისა და წყლის ეკოსისტემებზე; Účinky kyselého deště na lesní a vodní ekosystémy, მოძიებულია https://ziva.avcr.cz/files/ziva/pdf/ucinky-kyseleho-deste-na-lesni-a-vodni-ekosystemy-1.pdf

26. ჰანა კლემპეროვა, 1 სექტემბერი, 2015, სადისერტაციო ნაშრომი "ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექცია"; diplomová práce Česká inspekce životního prostředí, მოძიებულია https://dspace.cuni.cz/bitstream/handle/20.500.11956/80953/DPTX_2013_1_11220_0_281833_0_142802.pdf?sequence=1&isAllowed=y

27. პეტრ იეჰლიჩკა, ჩეხეთის სოციოლოგიური მიმოხილვა, იანვარი 1999, "ჩეხეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარება 1990-1995", თავი 3. "დაბინძურების კონტროლის ტრანსფორმაციის ძირითადი ფაქტორები", თავი 4. "გარემოსდაცვითი დისკურსი მედიაში", თავი 7. განმარტება; მოძიებულია: https://katalog.lib.cas.cz/Record/000658890?sid=7888749, https://oro.open.ac.uk/38377/1/Jehlicka1999ORO.pdf

28. დუშან სტუხლიკი, სტატია "ლიდოვე ნოვინიდან", 29 იანვარი, 2002, გამოქვეყნებული ონლაინ პლატფორმაზე, "თანამშრომლები სამსახურში შექმნილი ვითარებით იმედგაცრუებულნი არიან"; článek z Lidových novin, uveřejněný na online serveru, Pracovníci inspekce jsou znepokojeni situací v úřadě, მოძიებულია https://www.cact.cz/noviny/2002/03/inspektori.htm

29. ლუდეკ ნავარა, MF Dnes, 28.03.2002, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, "პოლიციას შეუძლია პროვოცირება, რათა ბრალი დადოს ქრთამის მიმცემს"; მოძიებულია https://www.idnes.cz/zpravy/domaci/policie-smi-provokovat-aby-usvedcila-uplatkare.A020327_223712_domaci_was

30. მარტინ ჰრომადკა, იანა ბოუშკოვა, 08.06.2004, სტატია "ინსპექტორმა ქრთამი მოითხოვა"; článek na online serveru, Úředník inspekce si řekl o úplatek, მოძიებულია https://www.irozhlas.cz/zpravy-domov/urednik-inspekce-zivotniho-prostredi-si-rekl-o-uplatek_200406081743_mhromadka

31. ალეშ ჰონუსი, პრავო, ნოვინკი, 8 ივნისი, 2004, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, "ინსპექციის თანამშრომელი დააკავეს ქრთამის აღებისას"; článek na online serveru, Policisté zadrželi zaměstnance inspekce životního prostředí, მოძიებულია https://www.novinky.cz/clanek/krimi-policiste-zadrzeli-zamestnance-inspekce-pri-brani-uplatku-293990

32. ალეშ უჰერი, 16.07.2007, სტატია ონლაინ პლატფორმაზე Deník Cz, "ინსპექტორმა ქრთამი მოითხოვა"; článek na online serveru Inspektor si řekl o úplatek, მოძიებულია https://zlinsky.denik.cz/zpravy_region/inspertor_si_rekl_o_uplatek_tv.html

33. პეტრ იეჰლიჩკა, ჩეხეთის სოციოლოგიური მიმოხილვა იანვარი 1999, "ჩეხეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარება 1990-1995", მოძიებულია: https://katalog.lib.cas.cz/Record/000658890?sid=7888749, https://oro.open.ac.uk/38377/1/Jehlicka1999ORO.pdf

34. პეტრ იეჰლიჩკა, ჩეხეთის სოციოლოგიური მიმოხილვა იანვარი 1999, "ჩეხეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარება 1990-1995", მოძიებულია: https://katalog.lib.cas.cz/Record/000658890?sid=7888749, https://oro.open.ac.uk/38377/1/Jehlicka1999ORO.pdf

35. ინჟ. რუთ ბიზკოვა და კოლექტივი, 2005, "ჩეხეთის გარემოს საინფორმაციო სააგენტო"; Česká informační agentura životního prostředí, https://www.cenia.cz/wp-content/uploads/2019/07/Zivotni_prostredi_v_CR_1989–2004.pdf

36. მარტინა პოტოჩკოვა, 02.12.2019, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, "არალეგალური ნარჩენების იმპორტი მკვეთრად იზრდება"; Dovoz nelegálního odpadu enormně narůstá, მოძიებულია https://www.idnes.cz/ekonomika/domaci/odpad-dovoz-plasty-pokuty-celni-sprava.A191201_204135_ekonomika_fih

37. ČTK, 26.05.2020, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, "სატვირთო მანქანები იტალიიდან უკანონო ნაგავსაყრელებზე უკანონო ნარჩენებს ეზიდებიან"; článek na online serveru Kamiony vozí na černé skládky odpad z Itálie, მოძიებულია https://www.idnes.cz/ceske-budejovice/zpravy/ilegalni-odpad-italie-dolni-dvoriste-kamiony-celnici-nelegalni-odpad.A200526_104130_budejovice-zpravy_khr

38. 2005 წლის წლიური ანგარიში, ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/sites/cizp.cz/files/file/sY2/CIZP-VZ-2005_0.pdf

39. ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/prehled-projednavane-legislativy-es/listopad-08

40. ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/impel-network/minimalni-kriteria-pro-inspekce-zivotniho-prostredi-v-clenskych-statech-eu

41. 2005 წლის წლიური ანგარიში, ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/sites/cizp.cz/files/file/sY2/CIZP-VZ-2005_0.pdf

42. ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/prehled-projednavane-legislativy-es/listopad-08

43. კორუფციის აღქმის ინდექსი, მოძიებულია: https://en.wikipedia.org/wiki/Corruption_Perceptions_Index

44. კორუფციის აღქმის ინდექსი, მოძიებულია: https://www.transparency.org/en/cpi/2022/index/cze

45. 2008-2022 წლების წლიური ანგარიშები, ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, ადამიანური რესურსების თავი, მოძიებულია: https://www.cizp.cz/cizp/vyrocni-zpravy

46. წყარო, რომელსაც სურს ანონიმური დარჩეს

47. იანა მორავცოვა, სტატია ონლაინ პლატფორმაზე Deník Referendum: „გეუსი და ბრაბეცი თანაბრად არიან პასუხისმგებლები ინსპექციის მდგომარეობაზე“; článek na online serveru Za stav inspekce nesou odpovědnost rovným dílem oba, მოძიებულია https://denikreferendum.cz/clanek/32345-za-stav-inspekce-nesou-odpovednost-rovnym-dilem-geuss-i-brabec-jit-by-meli-oba

48. ვიკიპედია, ღია ენციკლოპედია, მოძიებულია: https://cs.wikipedia.org/wiki/Richard_Brabec

49. ზუზანა ვლასატა, სტატია ონლაინ პლატფორმაზე Deník Referendum: „ბაბიშის ხალხმა გააგდო ის“; článek na online serveru Babišovi lidé jí vyhodili z inspekce, მოძიებულია https://denikreferendum.cz/clanek/27748-babisovi-lide-ji-vyhodili-z-inspekce-zivotniho-prostredi-soud-se-ji-zastal

50. ČTK, ლიდოვე ნოვინი, 16.01.2016, სტატია ონლაინ პლატფორმა Lidovky-ზე, "პოლიცია იძიებს მინისტრ ბრაბეცის საქმეს"; Policie vyšetřuje ministra Brabce, მოძიებულია https://www.lidovky.cz/domov/policie-vysetruje-ministra-brabce-kvuli-jmenovani-sefa-inspekce-zivotniho-prostredi.A160116_203838_ln_domov_ele

51. მიხალ ბურდა, 30.01.2023, სტატია ონლაინ პლატფორმა Deník Cz-ზე "მდინარე ბეჩვას საქმე სასამართლოში"; Kauza otrávené Bečvy poprvé před soudem, მოძიებულია https://www.denik.cz/krimi/becva-otrava-ryby-soud.html

52. მიხალ ბურდა, 19.09.2021, სტატია "არასწორი ნიმუშების აღება და ბაბიშის ინტერესთა კონფლიქტი"; Špatný odběr vzorků i Babišův střet zájmů, მოძიებულია https://valassky.denik.cz/zpravy_region/chyby-v-kauze-becva-spatny-odber-vzorku-i-stret-zajmu-premiera.html

53. Ekolist.cz, 22. 4. 2021, სტატია ონლაინ პლატფორმაზე: „არ იყო დრო და თანამშრომლები სინჯების ასაღებად“; Nebyl čas a lidi sebrat vzorky, მოძიებულია https://ekolist.cz/cz/zpravodajstvi/zpravy/nebyl-cas-a-lidi-sebrat-vzorky-z-vypusti-to-je-uplne-absurdni-vymluva-rika-ivan-holoubek-k-praci-cizp-na-becve

54. ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექციის ვებგვერდი, ინგლისური ვერსია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/en

55. ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექციის ვებგვერდი, სამოქმედო გეგმა 2020; Plán činnosti České inspekce životního prostředí 2020, მოძიებულია https://www.cizp.cz/sites/cizp.cz/files/file/CR8/Sken-kontrola_0.pdf

56. ჟურნალი "ნარჩენები", Časopis odpady, მოძიებულია https://odpady-online.cz/spalovna-rean-schvalena/

57. ლუდეკ სტრაკა, 2014, სადისერტაციო ნაშრომი "სამართლებრივი გარანტიები ჰაერის დაბინძურებისგან ჯანმრთელობის დასაცავად"; diplomová práce Právní prostředky na ochranu před znečištěným ovzduším, მოძიებულია https://is.muni.cz/th/fxyuw/Pravni_prostredky_na_ochranu_zdravi_pred_znecistenym_ovzdusim.pdf

58. 2004 წლის წლიური ანგარიში, ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/cizp/vyrocni-zpravy?page=2

59. 2004 წლის წლიური ანგარიში, ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექცია, მოძიებულია: https://www.cizp.cz/cizp/vyrocni-zpravy?page=2

60. ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექციის ვებგვერდი, მოძიებულია: https://www.cizp.cz/cizp/organizacni-struktura, /https://www.cizp.cz/en/about-us-1/organizational-structure-of-cei

61. კანონი სახელმწიფო კონტროლის შესახებ, No. 552/1991; კანონის კონტროლის ბრძანების აქტი No. 255/2012 Sb. https://www.zakonyprolidi.cz/cs/1991-552

62. ლუდეკ სტრაკა, 2014, სადისერტაციო ნაშრომი "სამართლებრივი გარანტიები ჰაერის დაბინძურებისგან ჯანმრთელობის დასაცავად"; diplomová práce Právní prostředky na ochranu před znečištěným ovzduším, მოძიებულია https://is.muni.cz/th/fxyuw/Pravni_prostredky_na_ochranu_zdravi_pred_znecistenym_ovzdusim.pdf

63. სახელმწიფო ეროვნული ბიუჯეტი 2023, მოძიებულია: https://www.mfcr.cz/assets/cs/media/2023-03-28_Statni-rozpocet-2023-v-kostce_v02.pdf

64. იან პიროხი, 30.03.2009, სტატია ონლაინ პლატფორმაზე: „40-მდე ხე უნდა მოეჭრათ“; Mělo být pokáceno až 40 stromů, მოძიებულია https://prazsky.denik.cz/zpravy_region/stromy20090330.html

65. ČTK, 26.05.2020, სტატია ონლაინ პლატფორმაზე: "სატვირთოები იტალიიდან უკანონო ნაგავსაყრელებზე უკანონო ნარჩენებს ეზიდებიან"; článek na online serveru Kamiony vozí na černé skládky odpad z Itálie, მოძიებულია https://www.idnes.cz/ceske-budejovice/zpravy/ilegalni-odpad-italie-dolni-dvoriste-kamiony-celnici-nelegalni-odpad.A200526_104130_budejovice-zpravy_khr

66. ჩეხეთის ტელევიზია, ČT 24 სიახლე, „პოლონეთს ჯერ კიდევ არ აქვს პასუხი, რამ გაანადგურა სიცოცხლე ოდერის მდინარეში"; Polsko stále neví, co zlikvidovalo život v Odře, მოძიებულია https://ct24.ceskatelevize.cz/svet/3526932-polsko-stale-nevi-co-zlikvidovalo-zivot-v-odre-berlin-obvinil-varsavu-z-podceneni

67. არასამთავრობო ორგანიზაცია “არნიკა”, სტატია ვებსაიტზე, “რა ვიცით მდინარე ოდერის მოწამვლის შესახებ?”; Co víme o otravě polské Odry? მოძიებულია https://arnika.org/novinky/co-vime-o-otrave-polske-odry

68. ევროპული კომიტეტი, ევროკავშირის ვებგვერდი, წარმომადგენლობა ჩეხეთის რესპუბლიკაში 17.02.2023, "ნულოვანი დაბინძურება - ახალი ანგარიში მდინარე ოდერის ეკოლოგიური კატასტროფიდან გაკვეთილებს გვასწავლის”; Nulové znečištění – nová zpráva přináší ponaučení z ekologické katastrofy na řece Odře, მოძიებულია https://czechia.representation.ec.europa.eu/nulove-znecisteni-nova-zprava-prinasi-ponauceni-z-ekologicke-katastrofy-na-rece-odre-2023-02-17_cs

69. იაკუბ პატოჩკა, ზუზანა ვლასატა, სტატია ონლაინ პლატფორმაზე Deník Referendum, “ბეჩვას მოწამვლის დღეს დეზაში ავარია მოხდა”; V den otravy Bečvy se v Deze stala havárie, მოძიებულია: V den otravy Bečvy se v Deze stala havárie, მოძიებულია https://denikreferendum.cz/clanek/32010-odhaleno-v-den-otravy-becvy-se-v-deze-stala-havarie-proc-zustala-utajena

70. არასამთავრობო ორგანიზაცია “არნიკა”, სტატია ვებსაიტზე, ორი წელი ბეჩვას მოწამვლის შემდეგ - “რა გავაკეთეთ მსგავსი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად?”; Dva roky po otrávení Bečvy. Co jsme udělali, aby se podobná katastrofa neopakovala? https://arnika.org/novinky/dva-roky-po-otraveni-becvy-co-jsme-udelali-aby-se-podobna-katastrofa-neopakovala

71. ევროკავშირის გამომცემლობა, 16.02.2023, "ევროკავშირის ანალიზი 2022 წლის მდინარე ოდერზე მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ"; Analýza Evropské Unie týkající se ekologické katastrofy na řece Odře v 2022, მოძიებულია https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC132271

დამატებითი საკითხავი

ჩეხეთის გარემოსდაცვითი განვითარების ისტორია

- კვლევითი ნაშრომი, პოლიტიკური სისტემის ცვლილებები 1989-1990, 11.12.1994; Proměny politického systému na přelomu 1989 - 1990, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი 1995
- მიროსლავ ვანეკი, ახალი ისტორია, 1996, აქ სუნთქვა შეუძლებელი იყო; Nedalo se tad dýchat, ISBN: 80-80500-58-6
- პეტრ იეჰლიჩკა, ჩეხეთის სოციოლოგიური მიმოხილვა, იანვარი 1999, "ჩეხეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარება 1990-1995", თავი 3. "დაბინძურების კონტროლის ტრანსფორმაციის ძირითადი ფაქტორები", თავი 4. "გარემოსდაცვითი დისკურსი მედიაში", თავი 7. განმარტება; მოძიებულია: https://oro.open.ac.uk/38377/1/Jehlicka1999ORO.pdf

კლიმატის ცვლილების კრიზისი

- ონდრეი შებესტიკი, 7. 7. 2020, რადიო ტალღა, ადამიანების შეზღუდვა არ მუშაობს, კლიმატის კრიზისის გადასაჭრელად გვჭირდება ხედვა; Omezování lidí nefunguje, pro řešení klimatické krize potřebujeme vizi https://wave.rozhlas.cz/omezovani-lidi-nefunguje-pro-reseni-klimaticke-krize-potrebujeme-pozitivni-vizi-8245593

ზედაპირული წყლების ავარიები

- გარემოს დაცვის სამინისტროს მიმოხილვა, გვერდი 23, ზედაპირული წყლების დაბინძურების მეტი მაგალითი, 1998 - 2006; Příklady významných vodohospodářských havárií od roku 1998–2006 https://www.mzp.cz/web/edice.nsf/E638A011DEDA30F0C125710D003828AD/$file/Zpravodaj_12_2006_web.pdf

მდინარე ბეჩვას მოწამვლა

- Ekolist.cz, 14. 2. 2021, სტატია ონლაინ პლატფორმაზე, დეტალური ინტერვიუ ჩეხეთის გარემოს დაცვის ინსპექციასთან მდინარე ბეჩვას დაბინძურების შესახებ; Velký rozhovor s ČIŽP o havárii na řece Bečvě https://ekolist.cz/cz/publicistika/rozhovory/velky-rozhovor-s-cizp-o-havarii-na-becve-provozni-udalosti-v-deze-a-vzorcich-od-rybaru
- ტომაშ ორინსკი, 18.08.2022, Britské Listy, ამასობაში აბსურდისტანში 220: მდინარე ბეჩვას მოწამვლა; Mezitím v Absurdistánu 220: Otrava řeky Bečvy https://www.researchgate.net/publication/368599688_An_EU_analysis_of_the_ecological_disaster_in_the_Oder_River_of_2022

Oder River ecological disaster

- ტომაშ ორინსკი, 18.08.2022, Britské Listy, ამასობაში აბსურდისტანში 220: მდინარე ბეჩვას მოწამვლა; Mezitím v Absurdistánu 220: Otrava řeky Bečvy https://www.researchgate.net/publication/368599688_An_EU_analysis_of_the_ecological_disaster_in_the_Oder_River_of_2022

ARNIKA

არნიკა აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც უკეთესი გარემოსკენ ისწრაფვიან.
ჩვენ გვჯერა, რომ ბუნებრივი სიმდიდრე არა მხოლოდ საჩუქარია, არამედ ვალდებულებაც, რომ იგი მომავალი თაობებისთვის შევინარჩუნოთ.
დაარსების დღიდან, “არნიკა” ჩეხეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი ორგანიზაცია გახდა.
ჩვენი საქმიანობა სამ ძირითად პრინციპს ემყარება: საზოგადოების ჩართულობა, პროფესიონალური არგუმენტები და კომუნიკაცია.
ორგანიზაციის შექმნის მომენტიდან, საჯარო კამპანიებს ვხელმძღვანელობთ როგორც ჩეხეთის რესპუბლიკაში, ისე საერთაშორისო დონეზე.
“არნიკა” ფოკუსირებულია ბუნების დაცვაზე, მომწამვლელ ნივთიერებებსა და ნარჩენებზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობაზე.

დამატებითი ინფორმაცია: : www.arnika.org/en